ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## აფხაზეთში ახალი პასპორტები რეფერენდუმის შემდეგ გაიცემა

გალის მოსახლეობას რეფერენდუმშიც არ მიაღებინებენ მონაწილეობას

გვ.7


23 ივნისიდან

ვიქტორ ჰიუგო

კაცი, რომელიც იცინის

პირველი ნაწილი

მაგარი ყდა, 358 გვერდი

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი





ხუთშაბათი, 23 ივნისი, 2016 №147 (7073) ფასი: 50 თეთრი

# პროკურატურა: „ეროსი კიწმარიშვილმა თავი მოიკლა“





**ზურაბ კიწმარიშვილი:** „ჩემს ძმას პრობლემები ჰქონდა, მაგრამ თავს არ მოიკლავდა“

გვ.2

**ბადრი ნანეტაშვილი:** „ეროსი მკვლელობამდე ერთი საათით ადრე მესაუბრა და არაფერი საეჭვო არ ყოფილა“



## ნიკა გვარამია: „ეს არის რუსთავი 2-ის შტურმით აღების მცდელობა“



„თუ გსურთ ჩვენი დასისხლიანებული სახეების ხილვა, იხილავთ“

გვ.6

გვ.4



„ექსპრეზიდენტი ყველაფერზე წამსვლელი არ არის. იმიტომ, რომ სააკაშვილი გასულია დიდ მსოფლიო პოლიტიკაში. მას საქართველოში დაბრუნება მეორე დონეზე არ აწყობს“

## მამუკა არეშიძე: „სააკაშვილი საქართველოში არ დაბრუნდება“

გვ.3



## კარლო კოპალიანი: „ნაციონალები ხელისუფლებაში ქურდების დახმარებით მოვიდნენ“

## მანუჩარ მაჩაიძე გოგი თოფაძესთან მიდის

გვ.6



ISSN 1987-9385

## თინა ხიდაშელი: „ნატოში მონტენეგროს გაწევრიანება არის გზავნილი, რომ შემდეგი საქართველო იქნება“

გვ.5



ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# პროკურატურა: „ეროსი კიწმარიშვილმა თავი მოიკლა“



**გუშინ, 22 ივნისს, პროკურატურაში ბრიფინგი გაიმართა, რომელიც ეროსი კიწმარიშვილის სიკვდილის საქმეს მიეძღვნა.**

**გამოძიების ინფორმაციით, ეროსი კიწმარიშვილი მიზანმიმართულად თვითმკვლელობამდე არავის მიუყვანია და არავის მოუკლავს, მან თავი მოიკლა.**

გამოძიების მსვლელობის დროს დაიკითხა დაახლოებით 600 პირი. ოჯახის წევრების, ადვოკატების და ოჯახის მიერ წარმოდგენილი დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობით ჩატარდა ათეულობით ექსპერტიზა. დამუშავდა და გაანალიზდა ვიდეოჩანაწერები, რის შედეგადაც დადგინდა ეროსი კიწმარიშვილის და მასთან კავშირში მყოფი პირების გადაადგილების მარშრუტები, ასევე დამუშავდა სატელეფონო ზარები. აღდგა და შესწავლილი იქნა ყველა ის ინფორმაცია, რომელიც შენახული იყო ეროსი კიწმარიშვილის ტელეფონსა და კომპიუტერში.

გარდა ამისა, ჩატარდა არაერთი ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედება, რის შედეგადაც დადგინდა შემდეგი:

2014 წლის 14 ივლისს ეროსი კიწმარიშვილი მეგობარ ბადრი ნანეტაშვილთან ერთად მივიდა თბილისში, პეკინის გამზირზე მდებარე იარაღის მაღაზია „დიანა“-ში. ნანეტაშვილს სურდა შეეძინა ცეცხლსასროლი იარაღი.

მაღაზიაში ყოფნის დროს კიწმარიშვილმაც გამოთქვა იარაღის შეძენის სურვილი და შეარჩია ცეცხლსასროლი იარაღი. მომდევნო დღეს მან დაირეგისტრირა ჩზ-75 სისტემის პისტოლეტი და დაბრუნდა ჭავჭავაძის გამზირზე, №37-ში მდებარე საკუთარ საცხოვრებელ სახლში, სადაც იმყოფებოდა მეუღლესთან ია კიწმარიშვილთან ერთად.

მეუღლის სახლიდან წასვლის შემდგომ, 15:05 საათზე, ეროსი კიწმარიშვილი გამოვიდა სახლიდან. 16 საათსა და 47 წუთზე კი მისი გვამი მეგობრებმა და თანამოაზრეებმა, გიორგი ხევიაშვილმა, თამაზ ბაწელაშვილმა, ვალერი ტატუაშვილმა, მერაბ დოლიძემ და ზაზა ბატიაშვილმა აღმოაჩინეს საცხოვრებელი კორპუსის ქვეშ, ავტოსადგომზე საკუთარ ავტომანქანაში.

◆ ◆ ◆

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას, რომელსაც ესწრებოდნენ გარდაცვლილის ძმა ზურაბ კიწმარიშვილი და მისი ადვოკატი, მანქანის წინა მარცხენა მხარეს, მძღოლის ადგილზე აღმოჩნდა ეროსი კიწმარიშვილის გვამი, რომელსაც თავის არეში აღენიშნებოდა ერთი ჭრილობა, რაც, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, წარმოადგენს მარჯვენა საფეთქლის მხრიდან შემავალ და თავის ქალის მარცხენა უკანა მხრიდან გამომავალ ცეცხლნასროლ დაზიანებას.

ეროსი კიწმარიშვილს მარჯვენა საფეთქელზე აღენიშნებოდა ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ანაბეჭდი, ე.წ. „შტანცმარკა“ და დამწვრობის კვალი, რაც, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ვითარდება მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღის მჭიდრო მიბჯენით გასროლის შედეგად.

ეროსი კიწმარიშვილის სხეულზე არსებული ტრავმის ლოკალიზაციის და მოცულობის გათვალისწინებით, სიკვდილი დადგა თავის არეში ცეცხლნასროლი ჭრილობის მიყენებიდან მომენტალურად.

გარდაცვლილის ფეხებთან ეგდო პისტოლეტი, რომელიც რამდენიმე საათით ადრე შეიძინა ეროსი კიწმარიშვილმა. ამ იარაღიდან გასროლილი მასრა აღმოჩნდა სალონის უკანა მხარეს, ტყვია კი გაჭედილი იყო მარცხენა საყრდენში. მარცხენა საყრდენიდან ამოღებული ტყვია, ჩატარებული ბალისტიკური და გენეტიკური ექსპერტიზების დასკვნებით, გასროლილია ეროსი კიწმარიშვილის იარაღიდან და გავლილი აქვს გარდაცვლილის სხეული.



## ზურაბ კიწმარიშვილი: „ჩემს ძმას პრობლემები ჰქონდა, მაგრამ თავს არ მოიკლავდა“

ავტომანქანის სავარძლები და სალონის დეტალები მარცხნიდან მარჯვნივ გაშლის კლებადობით დაფარული იყო გარდაცვლილის სისხლის შხეფებით, რასაც ადასტურებს სასამართლო-სამედიცინო, გენეტიკური, ბიოლოგიური და კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნები. შესაბამისი მიკრონაწილაკების ექსპერტიზით ასევე დადგენილია, რომ ა/მანქანაში აღმოჩნდა მხოლოდ კიწმარიშვილის მიკრონაწილაკები.

ექსპერტების მიერ დამუშავდა ეროსი კიწმარიშვილის ტანისამოსიდან და ორივე ხელის მტევნიდან აღებული დენთის კვალი. ექსპერტიზის შედეგად კი დადგინდა, რომ ეროსი კიწმარიშვილს გასროლის დროს იარაღი მარჯვენა ხელში ეჭირა. ამას მოწმობს იარაღზე ჩატარებული ბალისტიკური და გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნებიც.

◆ ◆ ◆

გამოძიების მსვლელობისას ასევე გაიშიფრა ყველა ვიდეოკამერა, რომელსაც დაფიქსირებული ჰქონდა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია. მათ შორის ავტოფარეხის შესასვლელის მიმართულებით განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერები, რომელთა მიხედვით, გარდაცვალების დღეს, 17:00 საათამდე დროის შუალედში, ავტოფარეხში შევიდა 10 ავტომანქანა და 2 ფეხით მოსიარულე პირი.

ყველა მათგანი დადგენილია და დაკითხულია გამოძიების პროცესში. ესენი არიან: კიწმარიშვილის მეზობლები და მათი მომსახურე პერსონალი, რომლებსაც მის გარდაცვალებასთან რაიმე კავშირი არ აქვთ.

გამოძიების მიმდინარეობისას, ზურაბ კიწმარიშვილის და მის მიერ მოწვეული დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობით, ეროსი კიწმარიშვილის ავტომობილში ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტი, რომელშიც, ჩამოთვლილი პირების გარდა, მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ექსპერტებმაც.

ავტომანქანის სალონში აღმოჩენილი სისხლის შხეფების განლაგების, სროლის ტრაექტორიის, ეროსი კიწმარიშვილის სხეულსა და ტანისამოსზე აღმოჩენილი დენთის კვალის, ცეცხლსასროლ იარაღზე აღმოჩენილი დნმ-ის კვალის და ა/მანქანაში მხოლოდ გარდაცვლილის ტანისამოსის მოკრონაწილაკების აღმოჩენის მხედველობაში მიღებით გამოირიცხა სროლის დროს ავტომობილში ან მისგან ისეთ დისტანციაზე სხვა პირის ყოფნა, საიდანაც შესაძლებელი იყო სროლის განხორციელება.

◆ ◆ ◆

გამოძიების პროცესში დაიკითხა კიწმარიშვილის ოჯახის ყველა წევრი: მეუღლე, ძმა და შვილები. მათი დაკითხვით რაიმე საეჭვო გარემოება გარდაცვალების სხვა შესაძლო ვერსიასთან დაკავშირებით არ გამოვლენილა.

◆ ◆ ◆

გამოძიების მსვლელობის დროს შესწავლილ იქნა ეროსი კიწმარიშვილის ფინანსური მდგომარეობა გარდაცვალების დროს და დოკუმენტალურად დადგინდა, რომ მის ოჯახს კერძო პირებთან, ორგანიზაციებთან და ბანკებთან საერთო ჯამში ჰქონდა დავალიანება 312.000 აშშ დოლარის და 120.000 ლარის ოდენობით, რომლის უზრუნველყოფისთვის იპოთეკით დატვირთული იყო მისი საცხოვრებელი სახლი, ხოლო ეროსი კიწმარიშვილს არ გააჩნდა საკმარისი შემოსავალი ამ დავალიანების დასაფარად.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კიწმარიშვილის კომპიუტერში აღმოჩენილი საუბრის ჩანაწერი ადასტურებს ფინანსური პრობლემების არსებობას, ჩანაწერში ის აცხადებს, რომ მას გააჩნია მატერიალური პრობლემები, რის გამოც მიმდინარე პრობლემებსაც ველარ უმკლავდება.

– მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლივი, თანმიმდევრული და ლოგიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ ეროსი კიწმარიშვილი მიზანმიმართულად თვითმკვლელობამდე არავის მიუყვანია და არავის მოუკლავს. მან თავი მოიკლა, რადგან კონკრეტული გარემოებების არსებობის მხედველობაში მიღებით შეუძლებელია, მკვლელობა იყოს ჩადენილი რომელიმე სხვა პირის მიერ. შესაბამისად მიღებულია გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

◆ ◆ ◆

– ეროსი კიწმარიშვილი თავს არ მოიკლავდა, მას ჰქონდა უამრავი გეგმა, რომელთა განხორციელებასაც აპირებდა.

ამის შესახებ ეროსი კიწმარიშვილის ძმამ, ზურაბ კიწმარიშვილმა, ინტერპრესნიუსთან საუბრისას განაცხადა.

მისი აზრით, თვითმკვლელობის ვერსია მცდარია და საქმის დახურვა ნაჩქარევი იყო.

– პროკურატურამ განაცხადა, რომ ეს იყო თვითმკვლელობა და რომ არავის მიუყვანია ეროსი თვითმკვლელობამდე. მათ მთავარ მოტივად სახელდება ფინანსური პრობლემები. აღნიშნულს არ ვეთანხმებოდით პირველივე დღიდან და დღესაც არ ვეთანხმები, რომ ეროსიმ თავი მოიკლა.

არგუმენტი, რის გამოც გამოძიების ოფიციალურ ვერსიას არ ვეთანხმები, არის ის, რომ მას ჰქონდა უამრავი გეგმა. მე ვიცნობდი ჩემს ძმას, ვიცოდი, რა პრობლემები ჰქონდა, მაგრამ ეროსი თავს არ მოიკლავდა. მართალია, ის დამარცხდა რუსთავის არჩევნებში, თუმცა ეს არ იყო მისი ძირითადი ამოცანა, ეს იყო გეგმის ერთ-ერთი ნაწილი და ამ გეგმების განხორციელებას განაგრძობდა, – განაცხადა ზურაბ კიწმარიშვილმა.

მისი აზრით, საქმეში ახალი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლოა, ძიება თავიდან დაიწყოს.

ზურაბ კიწმარიშვილი ეროსი კიწმარიშვილის მიერ იარაღის შეძენის საკითხზეც საუბრობს და აცხადებს, რომ მის ძმას იარაღი თავდაცვისთვის სჭირდებოდა.

– რაც შეეხება იმას, თუ რატომ შეიძინა იარაღი, მას არ ჰყავდა დაცვა, ის აპირებდა სერიოზული, ხისტი და კრიტიკული ნაბიჯების გადადგმას და ამასთან დაკავშირებით მავანი ადამიანების რეაქციას მოელოდა. ის გრძნობდა, რომ მასზე, შესაძლოა, ძალადობა ან თავდასხმა მომხდარიყო და იარაღის თემა სწორედ აქედან წამოვიდა. იარაღის შეძენაზე ჯერ კიდევ შემთხვევამდე 8 დღით ადრე ფიქრობდა, – განაცხადა ზურაბ კიწმარიშვილმა.

მისი თქმით, პროკურატურას აქვს საშუალება, დააკვირდეს თითის ანაბეჭდებისა და დნმ ბაზებს და მათი მონაცემების განახლებას.

– ვინაიდან საქმეში არის უცხო დნმ და თითის ანაბეჭდები, შესაძლებელია, საქმეზე საგამოძიებო პროცესი გაგრძელდეს, – აღნიშნა ზურაბ კიწმარიშვილმა.

◆ ◆ ◆

გამოძიების შედეგების არც ეროსი კიწმარიშვილის მეგობარს, ბადრი ნანეტაშვილს, სჯერა.

– საქმე არ არის გამოძიებული, პროკურატურამ ვერ დამაჯერა, – განუცხადა მან ინტერპრესნიუსს.

ბადრი ნანეტაშვილს ეროსი კიწმარიშვილთან სატელეფონო საუბარი ეროსის გარდაცვალებამდე ერთი საათით ადრე ჰქონდა.

ინტერპრესნიუსთან საუბრისას ბადრი ნანეტაშვილი აცხადებს, რომ ეროსი კიწმარიშვილისთვის რაიმე უცნაური არც ბოლო სატელეფონო საუბრის დროს შეუნიშნავს.



## ბადრი ნანეტაშვილი: „ეროსი მკვლელობამდე ერთი საათით ადრე მესაუბრა და არაფერი საეჭვო არ ყოფილა“

ნანეტაშვილის თქმით, ეროსი კიწმარიშვილმა იარაღი იმ მიზნით შეიძინა, რომ საკუთარი ძმისთვის ეჩუქებინა. მისივე განცხადებით, პროკურატურის მიერ დასახელებული თანხა, რომელიც კიწმარიშვილს ვალად ჰქონდა, გარდაცვლილის შემოსავლების მეათედი იყო, რომლის გადახდის პრობლემა მას არ ჰქონია.

ეროსი კიწმარიშვილის მეგობარი ჩატარებულ გამოძიებას უნდობლობას უცხადებს.

– ეროსის მანჰეტენზე ჰქონდა ბინა, რომელიც 3 მილიონ დოლარადაა შეფასებული და რომელიც მას გაქირავებული ჰქონდა. ის თანხა კი, რომელიც პროკურატურამ გამოაცხადა, ეროსის შემოსავლების მეათედიც არ იყო. მეც და მთელ საქართველოსაც ვალი აქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა თავს იკლავს? ეროსის ჰქონდა ვალის გადახდის საშუალება, – განაცხადა ბადრი ნანეტაშვილმა.

მისივე თქმით, ეროსი კიწმარიშვილს ჰქონდა სხვადასხვა გეგმები, რომელთა განხორციელებასაც უახლოეს მომავალში აპირებდა. კიწმარიშვილი საკუთარი ტელევიზიის გახსნასაც გეგმავდა.

– მკვლელობის წინა დღეს და მანამდეც, გვქონდა საუბარი, რომ ტელევიზია უნდა გაეკეთებინა. ბევრი გეგმა ჰქონდა, რომელიც მეორე, მესამე დღეს უნდა გაგრძელებულიყო. მკვლელობამდე ერთი საათით ადრე მესაუბრა და არაფერი საეჭვო არ ყოფილა. ეს იყო ჩვეულებრივი საუბარი და ერთ საათში გაახსენდა, რომ თავი უნდა მოეკლა? მით უმეტეს, პროკურატურაც აცხადებს, რომ ის თვითმკვლელობამდე არავის მიუყვანია, – აღნიშნა ბადრი ნანეტაშვილმა.

კითხვას, ბოლო პერიოდში კიწმარიშვილს ვინმესთან ხომ არ ჰქონია დაძაბული ურთიერთობა, ან ხომ არ უთქვამს, რომ ვინმესგან საფრთხეს ელოდა, ნანეტაშვილმა ასე უპასუხა:

– ეროსის ყოველთვის ჰქონდა დაძაბული ცხოვრება, ყოველთვის ჰქონდა სხვადასხვა დაპირისპირება, მაგრამ ის, რომ მას ეთქვა, ვინმესი მეშინია ან რაიმე საფრთხეს ვგრძნობო, არ მახსენდება. დარწმუნებული ვარ, მსგავს რამეს არავისთან იტყოდა.

◆ ◆ ◆

აღნიშნულ თემაზე კომენტარი საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმაც გააკეთა.

მან აღნიშნა, რომ ეროსი კიწმარიშვილთან ურთიერთობის შესახებ ყველაფერი აქვს ნათქვამი და საკითხი ამოწურულია.

– გამოძიება დასრულებულია და დაადგინეს, რომ ეს არის თვითმკვლელობა, მწუხარებას გამოვთქვამ და სამძიმარს გამოვუცხადებ ოჯახს, სხვა არაფერი სათქმელი არ მექნება, რაც საჭირო იყო, საჯაროდ გაცხადებული მაქვს ამასთან დაკავშირებით და ყველაფერი ამოწურულია, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# კარლო კოპალიანი: „ნაციონალები ხელისუფლებაში ქურდების დახმარებით მოვიდნენ“

შორენა მარსაგიშვილი

არის თუ არა ხელისუფლება ქურდებთან კავშირში, რაზე ამბობს უარს ნაციონალური მოძრაობა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი კარლო კოპალიანი ესაუბრება.

***– დეპუტატ გივი თარგამაძის მტკიცებით, „ქართულმა ოცნებამ“ კანონიერ ქურდებთან კონტაქტი განაახლა. მისი მტკიცებით, თქვენი პარტია მათი დახმარებით აპირებს არჩევნების მოგებას.***

– გივი თარგამაძის მოსმენის პატივი არ მქონია. როცა ეგ ამ „სიბრძნეს“ აფრქვევდა, მე კავკასიის ეთერში ვიყავი, სადაც ეს სისულელე დავით დარჩიაშვილმა გაიმეორა. კანონიერ ქურდებთან ჩვენი დაკავშირება ბუას თემაა. ამით ცდილობენ ხალხის დაშინებას. ყოფილ ხელისუფლებას საარჩევნო ბარიერის გადალახვის პრობლემა აქვს და ახლა ცდილობენ, ქვეყანაში როგორმე ქაოსი გამოიწვიონ. ქურდების თემის წამოწევაც ამას უკავშირდება.

ნაციონალების მმართველობის პერიოდში ერთადერთი დადებითი ის იყო, რომ მათ ქვეყანაში კრიმინალის არსებობა შეზღუდეს, რასაც მოსახლეობა მიესალმა. მათ კარგად იციან, რომ საზოგადოება აღშფოთდება, თუ კრიმინოგენური ვითარება გაუარესდება. ახლა ცდილობენ ხალხი იმაში დაარწმუნონ, რომ ჩვენ ქურდები შემოგვყავს და გვინდა მათი დახმარებით გავაკონტროლოთ ვითარება.

„ქართული ოცნება“ არასდროს შევა ქურდებთან კავშირში. არც ერთი ხელისუფლება არ მოჭრის იმ ტოტს, რომელზეც ზის, ამას არც ჩვენ გავაკეთებთ და, ნაციონალებისგან განსხვავებით, მათთან არასდროს ვითანამშრომლებთ.

***– ნაციონალები თანამშრომლობენ ქურდებთან? თავად არ აღნიშნეთ, რომ მათ ქვეყანაში კრიმინალი შეზღუდეს?***

– კრიმინალი მოგვიანებით შეზღუდეს, ხელისუფლებაში კი მათი დახმარებით მოვიდნენ. ეს არის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი და არავინ აღარ მალავს, სად რა შეხვედრა გაიმართა და ვინ რა დაპირება მიიღო.



***– რა დაპირებებზეა საუბარი?***

– კრიმინალები ნაციონალებს ხელისუფლებაში მოსვლაში დაეხმარნენ. მათ სერიოზული ფულიც დახარჯეს და რაღაც პირობებიც მიიღეს. მას შემდეგ, რაც ნაციონალებმა სკამი გაიმაგრეს, ეს კრიმინალები გადააგდეს და ყოფა უტირეს.

ნაციონალები ხომ ამტკიცებენ, რომ ჩვენ ქურდების გამოყენება გვინდა საარჩევნოდ, ამასთან დაკავშირებით წარსულს ამოვქექავ და ყველას გავახსენებ, რომ არჩევნების წინ საakaშვილი უამრავ ადამიანს ათავისუფლებდა ციხიდან. მოდით ვნახოთ, რა კატეგორიის ხალხს იწყალებდა ყოფილი პრეზიდენტი.

არჩევნების წინ ყოფილი ხელისუფლება ციხიდან ისეთ ხალხს უშვებდა, რომლებსაც თავის უბანში რაღაც გავლენები და ავტორიტეტი ჰქონდა. მეტსაც გეტყვით, ზოგიერთ კრიმინალს არჩევნებისთვის უშვებდნენ, არჩევნების შემდეგ კი ისევ უკან აბრუნებდნენ. რასაც ჩვენ ახლა გვაბრალებენ, ყველაფერი მათ მიერ ნაცადი და აპრობირებული მეთოდია. ეს ხალხს კარგად ახსოვს და რაც უნდა დაგვაბრალონ, მათ არავინ აღარ დაუჯერებს.

***– მაგათ შესაძლოა არავინ დაუჯეროს, მაგრამ კრიმინალმა რომ იმატა, ამას ნაციონალების გარეშეც ყველა კარგად ხვდება.***

– ვერ დაგეთანხმებით, საქართველოში კრიმინოგენური ვითარება არ გაუარესებულა.

***– სტატისტიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დანაშაულმა იმატა.***

– სტატისტიკის მიხედვით ასეა, მაგრამ ეს სტატისტიკა არ შეეფერება სიმართლეს. ნაციონალების მმართველობის ხანაში სტატისტიკური მონაცემები გაყალბებული იყო. ისინი ბევრ დანაშაულს მალავდნენ. ნაციონალების გულის გასახეთქად უნდა ვთქვა, რომ კრიმინალი აშკარად შემცირებულია და კიდევ უფრო შემცირდება. ამ მიმართულებით საერთაშორისო ინდექსითაც კი გაუმჯობესებული პოზიცია გვიჭირავს.

***– გაუმჯობესებული როგორ არის, როცა მთელი ევროპული მედია ჩვენს ქურდებზე წერს.***

– ქართველ ქურდებზე ლეგენდები მას შემდეგ დადის, რაც ბოლშევიკებმა ეს ინსტიტუტი შექმნეს. ევროპაში დანაშაულს ყველა ქვეყნის მოქალაქე სჩადის და კარგი იქნება თუ ქართველებზე ნამეტან ყურადღებას არ გაამახვილებენ. ხელისუფლებას რომ კრიმინალებთან კავშირი არ აქვს, კიდევ ერთ მაგალითს მოგიყვებით. რამდენიმე დღის წინ ციხიდან გათავისუფლდა ერთ-ერთი კანონიერი ქურდი. ამ ადამიანს ერთი დღეც არ გაუთევია სახლში, მოკიდეს ხელი და ქვეყნიდან გაუშვეს.

წესით და რიგით, ეს ამბავიც უნდა სცოდნოდა თარგამაძეს, მაგრამ გივიკო მხოლოდ იმას ლაპარაკობს, რაც მის პარტიას აწყობს. ამ ადამიანმა სხვას როგორ უნდა დასდოს ამ მიმართულებით ბრალი, როდესაც თავად ქურდულ სამყაროსთან კავშირის „მასტერია“.

***– „მასტერი“ თუ არის, შესაძლოა, ამიტომაც ფლობს რაღაც ინფორმაციებს.***

– ყველაფერი კარგად იცის და სისულელეებს ბოდავს. ყველაზე კარგად მას მოეხსენება, რომ ხელისუფლება არასდროს შევა ალიანსში კრიმინალებთან.

***– ზევით თქვით, რომ არჩევნების დროს ნაციონალები იყენებდნენ კრიმინალურ ავტორიტეტებს და ეგება „ქართულმა ოცნებამაც“ გადაწყვიტეთ ამის გაკეთება. ნაციონალები ჩივიან, ყველაფერი ჩვენგან გადაიღესო.***

– მანამდე არ აუდგათ მაგათ გვერდები, ჩვენ ქურდები რომ გამოვიყენოთ. ამ 4 წლის მანძილზე 2 არჩევნები ჩავატარეთ და არც ერთხელ არ დაფიქსირებულან ჩვენს გვერდით კრიმინალები. ახლა რატომ უნდა გადავირიოთ. კრიმინალების გამოყენება კი არა, ადმინისტრაციული რესურსიც არ გამოგვიყენებია. არადა ამის გაკეთება მარტივად შეიძლებოდა.

***– საგარეჯოსა და გარდაბანში შუალედურ არჩევნებზე ხომ გამოიყენეთ ადმინისტრაციული რესურსი? თუ ჯარი ადმინისტრაციულ რესურსად არ ითვლება?***

– საგარეჯოს არჩევნებთან დაკავშირებით ჩემი პოზიცია ერთხელ უკვე დავაფიქსირე და ახლაც გავიმეორებ. მთავრობის წევრები, შესაძლოა, არჩევნების დღეს იქ არ უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ იქ ყოფნას მათ კანონი არ უკრძალავდა. აღსანიშნავია ისიც, რომ იქ მყოფი მთავრობის წევრები იმ მომენტისთვის შვებულებაში იმყოფებოდნენ.

რაც შეეხება ჯარის გამოყენებას, ეს არის ძველისძველი მეთოდი და ჩვენ არ მოგვიგონებია. იმასაც ნურავინ იტყვის, რომ არჩევნების ბედი სამხედროების ხმებით გადაწყდა. გარდაბანში თავად ვიყავი დამკვირვებელი და დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ იქ დარღვევა არ ყოფილა. შეიგნეთ, ხალხო, რომ ჩვენ არ ვართ ნაციონალური მოძრაობა, არჩევნებზე ძალადობა რომ გამოვიყენოთ.

***– კორცხელში რაც მოხდა, ეს არ იყო ძალადობა?***

– კორცხელში მართლა იყო ძალადობა, მაგრამ ისაა გასარკვევი, ვისი მხრიდან მოდიოდა ეს. ამ ინციდენტთან დაკავშირებით ხელისუფლება არაფერ შუაში არ არის. ნაციონალებმა კორცხელში ვიღაცას დედა შეაგინეს და იმათგან მიიღეს მუშტი ცხვირში.

***– ის ვიღაცები იქ ვინ ჩაიყვანა?***

– იმას რატომ არავინ კითხულობს, ნაციონალებმა რატომ ჩაიყვანეს იქ თავისი ხალხი? ატეხეს გინება, მიიღეს მუშტები, მაგრამ ეს ყველაფერი კარგად შეფუთეს და ახლა მთელი მსოფლიო მაგათი საცოდაობით ტირის. განსაკუთრებით გამწარებულია ევროპის სახალხო პარტია.

ევროპის სახალხო პარტია ვახსენე და მაინტერესებს, ამ ხალხს თუ დემოკრატია ასე ადარდებთ, ამერიკაში ტრამპის მომხრეებმა და მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთს თავპირი რომ დაალეწეს, ხმა რატომ არ ამოიღეს? თუ მარტო ჩვენზე უნდა იყვიროს სარიუშ ვოლსკიმ?!



***– თქვენ ამბობთ, რომ ის ყველაფერი ნაციონალების ბრალი იყო და რატომ არ დაადგინა ეს გამოძიებამ? ამით ხომ საირუშ ვოლსკისაც აღარ ექნებოდა სალაპარაკო.***

– როდესაც ასეთი კონფლიქტი ხდება, იქ არც ერთი მხარე არ არის მართალი. ორივეს რაღაც წვლილი მიუძღვის. პასუხი ორივე მხარეს უნდა ეგო, მაგრამ გირაო მეორე მხარეს შეუფარდეს. ნაციონალებს თავზე წამებულის გვირგვინი დაადგეს. გამოძიება ჯერ არ დასრულებულა და მეორე მხარეც მიიღებს საკადრისს. ეგრე არაა, იმათ დედა გვაგინონ და ჩვენ ხმა არ ამოვიღოთ. 2 წლის წინ კაკოია ბობოხიძემ დედა გვაგინა, ცემა რომ გვინდოდა, ერთი ამბავი ატეხეს და ჩვენ გამოგვიყვანეს მოძალადეებად. ასე არ გამოვა.

ნაციონალები რომ ძალადობაზე არიან ორიენტირებული, ეს ბევრი რამიდან ჩანს. პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა ყველას მოუწოდა, რომ საარჩევნოდ ქცევის წესები შევიმუშაოთ და სიძულვილის ენაზე უარი ვთქვათ. მთელი რიგი პარტიები მზად არიან ამ შეთანხმებას მოაწერონ ხელი. მხოლოდ ნაციონალები არიან უარზე – ქილიკობენ, ბარემ ხატზე დაგვაფიცეთო. მათი ასეთი დამოკიდებულება ადასტურებს, რომ ძალადობას უჭერენ მხარს.

# ქართველი გამომცემლები: „დაგვეხმარეთ, რომ სახელმძღვანელოები მაკულატურად არ იქცეს!“

## ქართველმა გამომცემლებმა ღია წერილით მიმართეს საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრ ალექსანდრე ჯეჯელავას

ღია წერილში ნათქვამია:

ქართველ გამომცემელთა საწყობებში დევს ერთ მილიონ ეგზემპლარზე მეტი მოქმედი სასკოლო სახელმძღვანელო. აქედან I-VI კლასების ქართული სკოლის სახელმძღვანელოებს ორიოდე თვეში გასდის გრიფირების ვადა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს წიგნები მაკულატურად იქცევა.

ნაცვლად იმისა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეისყიდოს ჩვენთან არსებული სახელმძღვანელოები, სამინისტრო გამომცემლობებთან ყოველგვარი მოლაპარაკებების გარეშე, კიდევ ერთხელ (უფრო სწორად, უკვე მეოთხედ) აპირებს დაბეჭდოს ზუსტად იგივე წიგნები. არამიზნობრივად და უყაირათოდ იხარჯება ბიუჯეტის თანხები. ყოველივე ეს მიმდინარეობს გამომცემელთა და ავტორთა ინტელექტუალური და კერძო საკუთრების უხეში ხელყოფის ფონზე (არსებობს სახელმწიფო აუდიტის პროფესიული დასკვნაც).

ყველა „სიკეთესთან“ ერთად, ხელოვნურად შეიქმნა ბეჭდვის მონოპოლია: სამი წელია, განათლების სამინისტროს ხელშეწყობით, სახელმძღვანელოებს ბეჭდავენ ერთი და იგივე სტამბები (აქედან ორი წელი ყოველგვარი ტენდერის გარეშე, ბოლო წელს კი მხოლოდ ფორმალური ტენდერი ჩატარდა).

15 ქართველი გამომცემელი და 200-ზე მეტი ავტორი, ასობით რედაქტორი, მხატვარი, დიზაინერი, მესტამბე, დისტრიბუტორი, უკვე მეოთხე წელია, თამაშგარედ დარჩა (განსხვავებით საქართველოში არსებული უცხოური გამომცემლობისაგან), რაც უარყოფითად აისახა საგანმანათლებლო და საგამომცემლო სფეროზე: ქართული წიგნის გამოცემა მნიშვნელოვნად შეფერხდა. წიგნის მაღაზიების დიდი ნაწილი დაიხურა. გაკოტრების პირასაა სტამბებისა და გამომცემლობების მნიშვნელოვანი ნაწილიც.

გაბრაზებულ გულზე ისიც კი გვიფიქრია, ყველას თვალწინ ხომ არ დაგვეწვა ბატონი მარგველაშვილის გაპრეზიდენტებისთვის შეწირული ჩვენი საამაყო ავტორების ოცწლიანი ინტელექტუალური შრომის შედეგი.

ხაზგასმით აღვნიშნავთ: არც ერთი გამომცემელი წინააღმდეგი არ არის მოსწავლეთათვის სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგებისა.

იმედი გვაქვს, ყურადღებას მიაქცევთ ამ პრობლემას და პირადად იზრუნებთ მისი ოპერატიულად მოგვარებისთვის.

ღია წერილს, ქართველ გამომცემელთა სახელით, ხელს აწერენ:

**გამომცემლობა „ინტელექტის“ ხელმძღვანელი კახმეგ კუდავა**

**გამომცემლობა „დიოგენეს“ ხელმძღვანელი თამარ ლებანიძე**

**გამომცემლობა „არტანუჯის“ მთავარი რედაქტორი ზვიად კვარაცხელია**

**გამომცემლობა „სიესტას“ დამფუძნებელი ქეთევან კილურაძე.**


# „პეგას ტურისტიკი“

## ანტალიაში უსაფრთხო და კომფორტულ დასვენებას გთავაზობთ

PEGAS TOURISTIK

თურქეთი სულ უფრო მეტ დამსვენებელს იზიდავს თავის საზღვაო კურორტებზე. ერთ-ერთი საუკეთესო კურორტი ანტალიაა. ნამდვილი დასვენებისთვის აქ ყველა პირობაა – მზე, ოქროსფერი ქვიშა, საუკეთესო სერვისი და სასტუმროების დიდი არჩევანი.

ხმელთაშუა ზღვის მზიან სანაპიროზე დასვენებას და ანტალიის მიმართულებით ჩარტერულ რეისებს მსოფლიოს საუკეთესო ტუროპერატორთა სამეულში შემავალი „პეგას ტურისტიკი“ გთავაზობთ. დასვენების მსურველებს მზიანი დღეების გატარება და კომფორტის მოწყობა 3, 4 და 5 ვარსკვლავიან სასტუმროებში შეეძლებათ. „პეგას ტურისტიკი“ უკვე მეოთხე წელია, მსოფლიო კლასის მომსახურებას სთავაზობს ქართველ დამსვენებლებს. კომპანიის ძირითადი ორიენტირი მომხმარებლის კმაყოფილება, დაბალი ფასი და ტურისტისთვის მაქსიმალური კომფორტის შექმნაა.

**სალომე ბერაია – „პეგას ტურისტიკის“ გაყიდვების სამსახურის უფროსი:**

– წელს სეზონი 22 მაისს გავხსენით. მთელი ზაფხულის განმავლობაში შევასრულებთ პირდაპირ ჩარტერულ რეისებს ანტალიის მიმართულებით თურქეთის ავიახაზების ბორტით. დამსვენებლებს ვთავაზობთ სრულ პაკეტს, რომელშიც შედის პირდაპირი ავიაბილეთი, სასტუმროში განთავსება, კვება, ტრანსფერი და სამოგზაურო დაზღვევა. ფასები ხელმისაწვდომია ყველა სეგმენტის დამსვენებლისთვის. სრული პაკეტის მინიმალური ფასი იწყება 350$-დან და იზრდება სასტუმროს კატეგორიიდან გამომდინარე. ჩვენი გამარტივებული ონლაინ-სისტემის www.pegast.ge-ს საშუალებით ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, თავად შეარჩიოს სასტუმრო ბიუჯეტის მიხედვით და უკვე შერჩეული ტურით პირდაპირ მიმართოს ნებისმიერ ტურისტულ სააგენტოს და მოითხოვოს „პეგას ტურისტიკის“ ტური. ჩვენ ქართველ მომხმარებელს ასევე ვთავაზობთ სამოგზაურო ტურპაკეტებს ეგვიპტის, დუბაის და ინდოეთის მიმართულებით.

# მამუკა არეშიძე: „სააკაშვილი საქართველოში არ დაბრუნდება“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე „ახალ თაობას“ ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე ესაუბრება.

***– ბატონო მამუკა, თქვენ განაცხადეთ, რომ უმძიმესი არჩევნები გველის. რა საფრთხეებს ხედავთ და უმძიმესში რას გულისხმობთ?***

– არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე იგრძნობა, რომ ეს არის ერთგვარი სიწყნარე ქარიშხლის წინ. თუმცა ამ ქარიშხალს სხვადასხვანაირი შინაარსი შეიძლება ჰქონდეს.

***– მაინც როგორი?***

– არსებობენ პოლიტიკური ძალები, რომლებიც ამზადებენ საარჩევნოდ არეულობას, თუ მათ საბაბი მიეცათ და თუ არჩევნები მინიმალურად მაინც გაყალბდა და ეს ძალა ნაციონალური მოძრაობაა. თუმცა ეს არის ქარიშხლის ერთი შეფერილობა. არის კიდევ სხვა ვარიანტიც.

***– რომელი ვარიანტი?***

– ძალიან ფართო პოლიტიკური სპექტრია დღეს წარმოდგენილი პოლიტიკურ სივრცეში და ბევრს შეუძლია, არჩევნებში წარმატებას მიაღწიოს.

***– წარმატებაში რა იგულისხმება?***

– ვგულისხმობ 5%-იანი ბარიერის გადალახვას. დღეს ასეთი პოლიტიკური ძალა ბევრია. ასეთი რამ საქართველოში არ ყოფილა 1992 წლის არჩევნების შემდეგ.

***– ეს მოცემულობა თავად შეიქმნა, თუ ეს ხელოვნური პროცესია?***

– ნაწილობრივ თავად არის შექმნილი, იმიტომ, რომ პოლიტიკური სივრცე თავისუფალია. ყოველგვარი ზემოქმედება არის მინიმუმამდე დაყვანილი. აქედან გამომდინარე, ბევრ პოლიტიკურ ძალას შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. მეორეს მხრივ, გარკვეული ხელოვნურობაც არის.

***– და ეს რაში გამოიხატება?***



– ზოგიერთი გარემოების ზემოქმედებით იშლება პოლიტიკური პარტიები, ეყოფა მათ ნაწილები და ეს ნაწილები წარმოადგენენ პერსპექტიულ პოლიტიკურ გუნდებს. მაგალითად, ნაციონალური მოძრაობიდან გამოყოფილი გირჩი და ვაშაძე. მათ აქვთ პოლიტიკური რესურსიც და ფულიც, რომ წარმატებას მიაღწიონ. იგივე უნდა ითქვას კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ გამოყოფილ პარტიებზე. მათაც აქვთ პოლიტიკური რესურსი და ზოგიერთ მათგანს აქვს ფულიც.

***– „ოცნებიდან“ წამოსულებს საიდან აქვთ ფული? ისინი ივანიშვილის მხრებზე ისხდნენ.***

– ჯერ ერთი, კვალიფიციური პარტიები არიან და მეორეც, მათ ბიუჯეტიდან ფული ეკუთვნით. გარდა მაგისა, არის ბიზნესშემოწირულობებიც. ეს კოალიციიდან წასულებს რაც შეეხება. ნაციონალებიდან წასულებს ფული საიდან აქვთ, ეს არ ვიცი. ზოგი საუბრობს, რომ ბიძინა ივანიშვილმა მისცა, მავანმა სხვა კუთხით მიიღო.

***– სააკაშვილი რთულ სიტუაციაშია უკრაინაში და ყველაფერზეა წამსვლელი, საქართველოში რომ დაბრუნდეს. როდესაც საფრთხეებზე საუბრობთ, ამ საფრთხესაც გულისხმობთ?***

– ყველაფერზე წამსვლელი, აქ რომ დაბრუნდეს, სააკაშვილი არ არის. იმიტომ, რომ სააკაშვილი გასულია დიდ მსოფლიო პოლიტიკაში. მას საქართველოში დაბრუნება მეორე დონეზე არ აწყობს. მან კარგად იცის, რომ ნაციონალური მოძრაობა ამ არჩევნებს ვერ მოიგებს. ნაციონალურ მოძრაობას რაც შეუძლია გააკეთოს, ეს არის „რევოლუციური“ სიტუაციის შექმნა. ამიტომ მისი ქადილი იმის თაობაზე, რომ არჩევნების მერე დავბრუნდები და ასე შემდეგ, ეს ყველაფერი არის ფსევდო.

***– თუ მიეცემა ამის საშუალება?***

– რასაკვირველია, თუ მთავრობამ დაუშვა არეულობა, დაუშვა ფალსიფიცირება არჩევნების, ამის შემდეგ კი დაუშვა საპროტესტო აქციები და ასე შემდეგ და თუ მოიშალა სახელისუფლო ღერძი, მაშინ ყველაფრის საშუალება აქვს სააკაშვილს, მაგრამ ამის შანსი ძალიან დაბალია. ამიტომ მე არ ვთვლი, რომ სააკაშვილი ოქტომბერში საქართველოში დამბრუნებელია.

გარდა მაგისა, მას ბევრი საქმე აქვს გასაკეთებელი უკრაინაში, მიუხედავად იმისა, რომ ებრძვის ბევრი ოლიგარქი და უამრავი ძალა, ჯერჯერობით ძვრა ვერ უყვეს. უახლოეს მომავალში არც მოხდება ეს ამბავი. მე ისევ ქარიშხლის თემას დავუბრუნდები და გეტყვით, რომ ახალ-ახალი გარემოებები ჩნდება ყოველდღიურად.

***– ახალ გარემოებებში რას გულისხმობთ?***

– მაგალითად, ერთგვარი დალაგებული სურათი პაატა ბურჭულაძის გამოჩენამ არია. იმიტომ, რომ ძალიან მოკლე დროში სერიოზული პოლიტიკური დივიდენდი მიიღეს.

***– თუმცა დარტყმები ბურჭულაძეზეც დაიწყო.***

– ახლა დაიწყო, თუმცა ამ პოლიტიკურ გუნდს მყარი მდგომარეობა პოლიტიკურ სპექტრში უკვე მოპოვებული აქვს. გურჩიანისა და კუზანოვას წამოსვლა იქ სიტუაციას არ შეცვლის. ამაში დარწმუნებული იყავით.

***– თქვენც ფიქრობთ, რომ შეგზავნილები იყვნენ?***

– არა! როგორ იყვნენ შეგზავნილები, როცა გურჩიანის შექმნილია ეს ყველაფერი. რასაკვირველია, მე არ ვფიქრობ ამას.

ახლა ძალას იკრებს ახალი პოლიტიკური აქცია და ეს არის რეფერენდუმის ინიცირების აქცია, რომელიც წამოიწყესეროვნულებმა. ის დაკავშირებულია ქორწინების საკითხის გადაწყვეტასთან. რეფერენდუმის საკითხმა 12 ივნისს უკვე გაიარა რეგისტრაცია და რეფერენდუმი შედგება.

***– ეს რეფერენდუმი რას ცვლის პოლიტიკურ ცხოვრებაში?***

– ეს ძალიან რეზონანსული აქცია იქნება. თუ ამ რეფერენდუმის ორგანიზებამ სწორი გზა განვლო, სანდრო ბრეგაძეს და ეროვნულებს შეეძლებათ ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც აირჩევენ, იმასთან გაერთიანდნენ და დიდ წარმატებას მიაღწიონ.

***– სანდრო ბრეგაძე ხომ უკვე წავიდა მეჭიაურთან?***

– სანდრო ბრეგაძე წავიდა, მაგრამ ეროვნულები არ წასულან. თუკი ეროვნულები შეძლებენ ამ რეფერენდუმის ორგანიზებას და რეფერენდუმის დამთხვევას არჩევნების დღეს, ეს იქნება ძალიან სერიოზული შედეგების მომტანი ნებისმიერი პოლიტიკური ძალისთვის, ვისთანაც გაერთიანდებიან ეროვნულები. ჯერ 8 დღე გავიდა რაც დარეგისტრირდნენ და უკვე 60 ათასი ხელმოწერა აქვთ. სწორედ ასეთ ქარიშხლებზე ვსაუბრობ, ბევრი მოულოდნელობა გამოაშკარავდება, ბევრი სირთულე იქნება და სწორედ ამას ვგულისხმობ და არა – ქვეყნის ნგრევას.

***– ამ ყველაფრის გათვალისწინებით რა მდგომარეობაში აღმოჩნდება „ოცნება“? რამდენად რთული იქნება მისთვის ეს ყველაფერი?***

– „ოცნების“ გამარჯვებას ამ წუთში ალტერნატივა არ აქვს. ეს ასეც მოხდება და ამისი ძირითადი შემოქმედი იქნებიან მაჟორიტარები.

***– გვესმის შეფასებები, რომ არჩევნებზეა მიბმული ვიზალიბერალიზაციის საკითხი, რომ დასავლეთის ხელში ეს არის შანტაჟის იარაღი, რათა დემოკრატიულად ჩავატაროთ არჩევნები. ასეა?***

– მე არ ვეთანხმები ამგვარ შეფასებებს და ზოგადად მიმაჩნია, რომ გადაჭარბებული მნიშვნელობა ენიჭება ვიზალიბერალიზაციის საკითხს.



ელექტორატის თვალში ხელისუფლების დანაშაული იმაში, რომ საქართველო ვიზალიბერალიზაციას დათქმულ ვადებში ვერ იღებს, არ არის. ნათლად ჩანს, რომ ამ პროცესის დამუხრუჭება ხელისუფლების შეცდომების ბრალი არ არის.

***– აბა ვისი ბრალია?***

– ეს რუსეთის ფაქტორის ბრალია და ამას ღიად ამბობს საფრანგეთისა და გერმანიის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლობა. ასე რომ, ეს ვერ იმუშავებს, არჩევნებზე განსაკუთრებულ გავლენას ვერ მოახდენს.

***– რას ნიშნავს დასავლეთის პოზიცია? რატომ ვერ გადაწყვიტეს, კი თუ არა?***

– სერიოზული დეფიციტია სერიოზული პოლიტიკური ფიგურებისა დასავლურ ისტებლიშმენტში. მათ რაღაც ცხოველი შიში აქვთ რუსეთისა, რომელსაც თვითონ დაუწესეს სანქციები. იწყებენ რაღაც პროცედურას და მერე შუა გზაში ჩერდებიან. ამერიკის ზეწოლის მიუხედავად, ევროპელები ცდილობენ, თავისი თამაში ითამაშონ და არცთუ ეფექტური. ისინი იწყებენ დიდი ბაქი-ბუქით და საბოლოო ჯამში შედეგი არაფერი არ არის. მიუხედავად ამისა, ჩვენ არ გვაქვს უფლება, რომ ამ დასახულ მიზანს გადავუხვიოთ.

# გედევან ფოფხაძე: „სტრასბური არ ამბობს, რომ ვანო მერაბიშვილი უკანონო პატიმარია“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გედევან ფოფხაძე მერაბიშვილის განცხადებაში მისი საკნიდან გაყვანის თაობაზე გამოძიების საფუძველს ვერ ხედავს.

**გედევან ფოფხაძე:**

– ჩვენ სუბიექტურები ვართ ვანო მერაბიშვილის მიმართ, მაგრამ გვინდა, სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილება მაინც ობიექტურად შეფასდეს. სტრასბურის სასამართლოს არ უმსჯელია არც მის პოლიტპატიმრობაზე, არც პატიმრობის კანონიერებაზე. ერთადერთი, დასვა კითხვები, მერაბიშვილის განცხადების საფუძველზე, რომ ის გაიყვანეს საკნიდან და ეს ხომ არ ნიშნავდა გაყვანას რაღაც ჩვენებების მიღებისთვის. სტრასბურის სასამართლომ ცალკე ამ საკითხზე იმსჯელა და თქვა, რომ სასამართლომ კანონიერად, გარკვეულ საფუძველზე მიუსაჯა წინასწარი პატიმრობა.

***– ანუ რა დასკვნები უნდა გავაკეთოთ?***

– დასკვნები იქიდან გამომდინარე უნდა გავაკეთოთ, რაც გითხარით და არა რასაც ცდილობენ ნაციონალები.

***– რას ცდილობენ?***

– ცდილობენ თავს მოგვახვიონ ის, რაც არ უთქვამს სტრასბურის სასამართლოს. უნდათ, გადაწყვეტილებაში ეწეროს, რომ ვანო მერაბიშვილი არის უკანონო პატიმარი, ან პოლიტპატიმარი, მაგრამ მსგავსი არაფერი წერია.

***– თუმცა, მერაბიშვილის საკნიდან შესაძლო გაყვანა გახდა პრობლემა, რაც აისახა სტრასბურის გადაწყვეტილებაში. პროკურატურამ საქმეც აღძრა. თქვენი აზრით, საქმის აღძვრის საფუძველი არის?***

– ვანო მერაბიშვილის შესაძლო გაყვანა საკნიდან დაფუძნებულია მხოლოდ ერთი ადამიანის, ანუ მერაბიშვილის განცხადებაზე. მე არ ვანიჭებ ამას ისეთ ღრმა სამართლებრივ-პოლიტიკურ მნიშვნელობას, როგორც ანიჭებენ ნაციონალები.

***– სტრასბურის სასამართლომ მორალური ზიანის ანაზღაურება დაგვაკისრა. ზოგი ამბობს, რომ ძალიან მიზერული თანხაა, მაგრამ თურმე მორალური ზიანი მიადგა ბატონ მერაბიშვილს. ამ დროს არ ვიცით, ფაქტი რეალურია თუ არა. თქვენი ინფორმაციით, მერაბიშვილის საკნიდან გაყვანასა და ჩვენების მიცემაზე დაყოლიების მცდელობას ადგილი ჰქონდა?***

– გაიყვანეს თუ არა საკნიდან მერაბიშვილი, ჩვენ ამაზე მტკიცებულებები რომ გვქონოდა, სტრასბურში წარვადგენდით. ამით ყველაფერი დამთავრდებოდა.

ვანო მერაბიშვილმა თქვა, რამდენიმე დღის წინ გამიყვანესო. აღმოჩნდა, რომ რამდენიმე დღეში ვიდეოჩანაწერების კადრები ნადგურდება. ამ პროცედურის თაობაზე მე მერე გავიგე. ვისაც სჭირდებოდა, ეცოდინებოდა, რამდენ ხანში იშლებოდა კადრები. თუ ის საკნიდან გაიყვანეს, მეორე დღეს უნდა განეცხადებინა. შესაბამისად, დიდი იყო ალბათობა იმისა, რომ იმ პერიოდის ვიდეოკადრები წაშლილი არ ყოფილიყო. იმის დადგენაც შესაძლებელი იქნებოდა, გაიყვანეს თუ არა მერაბიშვილი საკნიდან. ჩვენ



ვერ დავდეთ მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ არ გაგვიყვანია.

შიდა მოკვლევის სამსახურმა ჩაატარა მოკვლევა და გამოძიების ჩატარება საჭიროდ არ ჩათვალა, რადგან ვერანაირი კვალი ვერ ნახა, რომ ის გამოიყვანეს საკნიდან. როგორ უნდა დავადგინოთ, რომ ადამიანი გამოიყვანეს საკნიდან. ისინი ამბობენ, გაიყვანესო, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ არ გაუყვანიათ.

◆ ◆ ◆

ცოტა ხნის წინ, პარლამენტმა სპეციალური დადგენილება მიიღო ნაცმოძრაობის ხელისუფლების დროს 2004-2012 წლებში მომხდარი დანაშაულობების, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საკითხზე და განაცხადა, რომ ადგილი ჰქონდა სისტემურ დანაშაულობებს.

***– რატომ დასჭირდა 4 წელი ამ გადაწყვეტილების მიღებას?***

– დადგენილება ეყრდნობა განაჩენებს, რომლებიც არის გამოტანილი. როცა მრავალი განაჩენი დადგა, დაზარალებულები გამოიკვეთნენ, დადგენილების მიღების საფუძველიც შეიქმნა. მანამდე ამგვარ დადგენილებას, უბრალოდ, ვერ მივიღებდით.

***– პროკურატურაში წინა რეჟიმის დროს მომხდარი დანაშაულობების გამოსაძიებლად შექმნილ სპეციალური დეპარტამენტის მუშაობას ეს დადგენილება რაში წაადგება? ითქვა, რომ ადამიანებს დამდგარი განაჩენების გადასინჯვის საშუალებაც მიეცემოდათ.***

– სისტემურ დანაშაულთან კავშირის დადგენაა საჭირო. სისტემური დანაშაულობები იმიტომ ხდებოდა, რომ ვიღაცამ შექმნა გარკვეული გარემო ასეთი დანაშაულობების ჩადენისთვის, ვიღაცამ წაახალისა ასეთი დანაშაული, ვიღაცამ თქვა, ასე თუ მოიქცევით და ეს იქნება სტანდარტი, პრობლემა არ არის.

***– გარკვეული პირების პოლიტპატიმრებად აღიარება საკმარისი საფუძველი არ იყო რეჟიმის შეფასებისთვის?***

– პოლიტპატიმრების აღიარება ზოგმა სადავო გაგვიხადა, მაგრამ ჩვენ ხელაღებით არავინ გვიღიარებია, მის უკან არის საქმეები, ანალიზი, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების დასკვნები. საბოლოოდ, ადამიანის ბრალეულობა უნდა დაადგინოს არა პარლამენტმა, არამედ სასამართლომ. ჩვენ ის ადამიანები გამოვუშვით, მაგრამ მხოლოდ ახლა შევქმენით სამართლებრივი საფუძველი მათი საქმეების გადახედვისთვის.

ესეც იმის ბრალია, რომ ეს ადამიანები საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ეჭვობდნენ, მოცემულ სამართლებრივ სისტემაში რამდენად ღირდა მათი საქმეების გადასინჯვა.

პოლიტპატიმრების აღიარებაზე დადგენილება რომ მიგვეღო, გვეტყოდნენ, რომ უსაფუძვლოდ ვმოქმედებდით. ახლა ჩვენ მივიღეთ დადგენილება კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომელიც ადასტურებს მომხდარ დანაშაულებს.

***– რეჟიმის პირობებში მიღებულ ყველა კატეგორიის განაჩენებზე მიეცემათ საშუალება, თუ ეჭვი აქვთ, მიაღწიოს საქმეების გადახედვას?***

– ყველა კატეგორიის განაჩენების გადახედვას ჩვენი სასამართლო სისტემა ვერ შეძლებს. ვინც მოიძიებს ახალ გარემოებას საქმეზე, ახლად აღმოჩენილი გარემოების საფუძველზე მიეცემათ საშუალება, მიმართონ სასამართლოებს და ხელახლა განიხილონ.

ასევე ამ დადგენილებით, ეკა ბესელიას, ჩემი და ჩვენი კომიტეტის ინიციატივით, პოლიტპატიმრის სტატუსი ავტომატურად უნდა ჩაითვალოს ახლად აღმოჩენილ გარემოებად, რომ მოსამართლემ ხელახლა განიხილოს საქმე.

**გახდომა-გასუქება 5–20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# თინა ხიდაშელი: „ნატოში მონტენეგროს გაწევრიანება არის გზავნილი, რომ შემდეგი საქართველო იქნება“

ნათია ხურცილავა

პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში ივლისში ნატოს სამიტი გაიმართება. იქნება თუ არა ნატოს მორიგი სამიტი გაფართოების სამიტი? „ღია კარის“ პოლიტიკა კვლავ რჩება თუ არა დღის წესრიგში?

სწორედ აღნიშნულ საკითხზე გუშინ, 22 ივნისს, კონფერენცია ჩატარდა. დისკუსიაში მონაწილეობდნენ თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი დავით ბაქარაძე, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი და სამხედრო ექსპერტები.

კონფერენციაზე განაცხადეს, რომ ნატოს ვარშავის სამიტი მნიშვნელოვანი ქვაკუთხედია ნატოს სამომავლო განვითარების გზის განსაზღვრის პროცესში.

**თინა ხიდაშელი:**

– ვარშავის სამიტზე მონტენეგროს გაწევრიანება არის საუკეთესო გზავნილი საქართველოსთვის იმის დასადასტურებლად, რომ შემდეგი გაჩერება საქართველო იქნება.

ხიდაშელის აზრით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გაძლიერება და სამხედრო პოლიტიკა, რომელიც ამ ქვეყნებისთვის ხორციელდება, არის საუკეთესო დაცვა და ფარი ნატოს პარტნიორებისთვის.

– ამ სეგმენტში ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის სახელმწიფოები, რომლებიც შავ ზღვაზე არიან, ვინაიდან შავ ზღვაზე ნატოს გაძლიერება ნიშნავს საქართველოს უსაფრთხოების გაძლიერებას შავ ზღვაზე, – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

კითხვას, თუ რა გადაწყვეტილება იქნება ვარშავის სამიტზე მიღებული, ხიდაშელმა ასე უპასუხა:

– ვარშავაში იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებული და ამის შემდეგ იქნება ყველა კონკრეტული გეგმა. ერთ-ერთი, რასაც ვითხოვთ, სამხედრო გემების რეგულარული ვიზიტებია საქართველოში, ზუსტად ისე, როგორც ხდება თურქეთის ან ბულგარეთის პორტებში. საქართველოს პორტები უნდა გახდეს ნაწილი მარშრუტის, ზუსტად ისე, როგორც ნატოს წევრ ქვეყნებში.

თავდაცვის მინისტრი თვლის, რომ მაპი გახდა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ნაწილი და როდესაც საქართველოს წევრობაზე იქნება კონსენსუსი, იქნება მაპიც.

– ჩვენ დღეს პრაქტიკულ ცხოვრებაში მაპი აღარ გვჭირდება. ეს უნდა იყოს ადეკვატურად ასახული დოკუმენტებში. ზუსტად ამას ვითხოვდით ჩვენ და დეკემბერში ეს ცალსახად დაფიქსირდა, – აღნიშნა თინა ხიდაშელმა.



როგორია სახელმწიფო მინისტრის მოლოდინი ნატოს ვარშავის სამიტიდან?

– მნიშვნელოვანია, რომ ალიანსის წევრებმა კიდევ ერთხელ დაადასტურონ, რომ საქართველოს აქვს ყველა პრაქტიკული ინსტრუმენტი იმისთვის, რომ გააგრძელოს მზადება წევრობისთვის, – განაცხადა დავით ბაქარაძემ.

მისი აზრით, ჩვენ მივიღებთ კიდევ უფრო მეტ და უფრო მნიშვნელოვან მხარდაჭერას არსებითი პაკეტის გაძლიერებით, საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების და მისი ნატოსთან თავსებადობის ამაღლების თვალსაზრისით.

– არსებითმა პაკეტმა უკვე აჩვენა ის პროგრესი, რომელიც ჩვენ გვაქვს სხვადასხვა მიმართულებით ნატო-საქართველოს ურთიერთობებში. ამ პროგრესს სჭირდება განმტკიცება პრაქტიკული ხელსაწყოებით, – აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა.

მან ჟურნალისტების კითხვასაც უპასუხა ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით.

– ბოლო ორმა-სამმა დღემ აჩვენა პოზიტიური ტენდენცია საქართველოს ვიზალიბერალიზაციის კუთხით. პირველ რიგში, ეს იყო ევროკავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე მკაფიო გზავნილი საქართველოს სრულ მხარდაჭერაზე ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ, – განაცხადა ბ-მა ბაქრაძემ.

## ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

**ობიექტი №1**

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:

ა) სასარგებლო წიაღისეულის რესურსის შესწავლა განახორციელოს არა უმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში. არაუგვიანეს შესწავლის ვადის ამოწურვისა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დასამტკიცებლად შესაბამის ორგანოში წარადგინოს (შესწავლის მასალები) მარაგების ანგარიში;

ბ) ლიცენზიის მფლობელმა მარაგების დამტკიცებისა და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდგომ, შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);

გ) მარაგების დამტკიცების შემდეგ ლიცენზიატი ვალდებულია, გადაიხადოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე„ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დაანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასი ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე; ზემოაღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენისა და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების განხორციელების შემდეგ ლიცენზიანტი უფლებამოსილია, განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება;

დ) თუ სალიცენზიო ფართობზე დამტკიცებული მარაგების მიხედვით გამოთვლილი ფასი ნაკლებია აუქციონზე დაფიქსირებულ საბოლოო ფასზე, ამ შემთხვევაში მეტობით გადახდილი თანხა არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას;

ე) ძებნა-ძიებითი სამუშაოები განახორციელოს ლიცენზიის ძალაში შესვლიდან 3 (სამი) წლის ვადაში და ამ სამუშაოების სრულყოფილად ჩატარების მიზნით, დახარჯოს არანაკლებ 2 000 000 (ორი მილიონი) ლარი;

ვ) შესწავლის პერიოდში უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის (არანაკლებ 30 ადამიანის) დასაქმება;

ზ) 2016 წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყოს ონის მუნიციპალიტეტისათვის ერთი ერთეული სპეციალური ტექნიკის - JCB 3CX Sitemaster Super მულტიფუნქციური ექსკავატორ-დამტვირთველის შეძენა, 160 000 (ას სამოცი ათასი) ლარის ფარგლებში (ექსკავატორ-დამტვირთველი, უნდა იყოს ახალი-ექსპლუატაციაში არმყოფი);

თ) შესწავლის პერიოდის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარადგინოს „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ„ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით განსაზღვრული ერთ-ერთი აუდიტორული მომსახურების გამწევი იურიდიული პირის მიერ მომზადებული დასკვნა, რომელიც დაადასტურებს „ე„ პუნქტში მითითებული თანხის ხარჯვის ანგარიშს;

ი) ხელი არ შეუშალოს სალიცენზიო ფართობზე მოქმედი სხვა ლიცენზიებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას;

კ) მოქალაქეებს არ შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების შესაძლებლობა;

ლ) ხელი არ შეუშალოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას;

მ) სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცების შემდგომ უზრუნველყოს საბადოს კომპლექსური ათვისება;

ნ) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შესწავლის პერიოდში განსახორციელებელი 2 000 000 (ორი მილიონი) ლარის ოდენობის თანხის ხარჯვის გეგმა-გრაფიკი, რომელიც უნდა მოიცავდეს დეტალურ და დასაბუთებულ ინფორმაციას შესწავლის პერიოდში ჩასატარებელი სამუშაოებისა (ღონისძიებების) და ამ სამუშაოებისათვის გასაწევი ხარჯების შესახებ, მათ შორის კონკრეტული სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ვადის ხანგრძლივობის თაობაზე. წარდგენილი ინფორმაცია გახდება ლიცენზიის ფარგლებში სავალდებულოდ შესასრულებელი პირობა და მისი შეუსრულებლობა გამოიწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ზომებს.

ო) სახელმწიფო უფლებამოსილია, წინამდებარე სალიცენზიო ფართობის გეოლოგიური შესწავლისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გასცეს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა/მოპოვების ლიცენზიები, რომლებიც არ იქნება დაკავშირებული ამ ლიცენზიით განსაზღვრული წიაღისეულით სარგებლობასთან;

პ) ლიცენზიის მფლობელი ინარჩუნებს პასუხისმგებლობას ფართობის რეკულტივაციაზე, ფართობის დაბრუნების მომენტისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ჟ) მარაგების ანგარიშის და ათვისების გეგმის წარმოუდგენლობა, შესაძლებელია განხილულ იქნეს წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლად;

რ) სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების მიზნით გაცემული ლიცენზიის ფარგლებში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე სალიცენზიო საქმიანობა უნდა განხორციელდეს მხოლოდ მესაკუთრესთან შეთანხმებით;

ს) სალიცენზიო ობიექტზე სამუშაოების ჩატარება უნდა განხორციელდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული წესებისა და ნორმების დაცვით;

ტ) ლიცენზიის მფლობელმა სამუშაოების ჩატარების დროს არ დაუშვას სამთო გამონამუშავრების ჩაყრა მდ. ზოფხითურას კალაპოტში;

უ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ღების მიმდებარე ტერიტორია, სასარგებლო წიაღისეულის (ზოფხითოს ჯგუფის ფერადი, კეთილშობილი და იშვიათი ლითონების მადანგამოვლინება) შესწავლა-მოპოვება.

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ღების მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

10 000 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

1 000 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

5 200 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 23 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 25 ივლისს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 25 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 25 ივლისს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

25 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

# თიბისი ბანკისა და ჯეოსელის ერთობლივი პროექტი — ბიზნესდაჯილდოება

თიბისი ბანკი ცნობილია საქართველოში ინოვაციური პროექტებით. ამჯერად ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მასშტაბურ ბიზნესდაჯილდოებას წარმოგიდგენთ, რომლის მიზანი ქართული მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა და მისი განვითარების ხელშეწყობაა. პროექტს გენერალურ პარტნიორობას უწევს სატელეკომუნიკაციო კომპანია ჯეოსელი.



ბიზნესდაჯილდოების მიზანია წარმატებული ბიზნესმენების წახალისება და მოტივაცია, რაც მათ მეტ სტიმულს მისცემს, რათა გამოიყენონ ქვეყანაში არსებული მრავალფეროვანი შესაძლებლობები და განავითარონ თავიანთი ბიზნესი.

ბიზნესდაჯილდოებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ კომპანიებს, რომლებიც ოპერირებენ საქართველოში, დარეგისტრირებულნი არიან 2016 წლამდე და მათი წლიური ბრუნვა არ აღემატება 10 მილიონ ლარს.

გამარჯვებულები გამოვლინდებიან შემდეგ ნომინაციებში: 1. წლის ტურისტული ბიზნესი; 2. წლის აგრობიზნესი; 3. წლის ქართული პროდუქტი; 4. წლის ინოვაციური ბიზნესი; 5. წლის მარკეტინგული კამპანია; 6. წლის მცირე ბიზნესი; 7. წლის ბიზნესი.

ბიზნესდაჯილდოების პროექტი საზოგადოებას თიბისი" ბანკის გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ბუცხრიკიძემ და ჯეოსელის გენერალურმა დირექტორმა, პაველ სმალინსკის წარუდგინეს.

**ვახტანგ ბუცხრიკიძე:**

— მცირე და საშუალო ბიზნესი არის საქართველოს ეკონომიკის მომავალი. ჩვენ მათი ხელშეწყობა დღეს არ დაგვიწყია და ეს მიმართულება წლების განმავლობაში პრიორიტეტული იყო. ახლა უკვე ჯეოსელთან ერთად ახალი პროექტი დავიწყეთ, რომელიც, დარწმუნებული ვარ, წარმატებული იქნება. ყველა ქართული კომპანია დაინახავს, თუ რისი გაკეთება შეიძლება საქართველოში და როგორ შეიძლება ამის გაკეთება.

**პაველ სმალინსკის** განცხადებით, ნომინაციაში — წლის ინოვაციური ბიზნესი გამარჯვებულს ჯეოსელი დააჯილდოვებს:

— ჩვენთვის ძალიან დიდი პატივია ამ პროექტის თიბისი ბანკთან ერთად წამოწყება. ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია მზარდი ბიზნესის წახალისება ქვეყანაში. მცირე და საშუალო მეწარმეები ის სეგმენტია, რომელსაც დიდი მომავალი აქვს და მნიშვნელოვან დოვლათს ქმნის ქვეყნის ეკონომიკაში. აღსანიშნავია, რომ პროექტისთვის შვიდივე ნომინაცია ძალიან სწორადაა შერჩეული. ჯეოსელი მათგან ერთს — წლის ინოვაციური ბიზნესი, გამარჯვებულს დააჯილდოვებს.

თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილის, **ნიკა ქურდიანის** განცხადებით, აღნიშნულ დაჯილდოებას ყოველწლიური ხასიათი ექნება:

— პროექტის მიზანია, რომ ბიზნესის კეთება იყოს წამახალისებელი და პოპულარული. ჩვენი სლოგანია — წარმატება გადამდებია. როდესაც ადამიანი დაინახავს სხვის წარმატებას, თვითონაც დაფიქრდება, რომ იგივეს გაკეთება თავადაც შეუძლია. რაც უფრო მეტს ვილაპარაკებთ წარმატებული ბიზნესის შემთხვევებზე, უფრო საინტერესო იქნება საზოგადოებისთვის და ალბათ, მოტივაციას გავზრდით.

ყველა ნომინაციას თავისი პრიორიტეტები აქვს. მხოლოდ წლის მარკეტინგული კამპანიის ნომინაციაში გამარჯვებული გამოვლინდება ელექტრონულად, საყოველთაო ხმის მიცემის პრინციპით.

სხვა დანარჩენ ნომინაციაში გამარჯვებულებს გამოავლენს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს ექსპერტებისგან შემდგარი კომისია.

ნომინაციაში წლის ბიზნესი გამარჯვებული შეირჩევა ჯამურად შემოსული აპლიკანტებიდან, ხოლო დანარჩენ ნომინაციებში გამარჯვებულები გამოვლინდებიან თითოეულ მათგანში შერჩეული სამი ფინალისტისგან, რომელთა პორტფოლიოები წარედგინება საზოგადოებას მედიისა და სოციალური მედიის მეშვეობით.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებისთვის აპლიკაციების მიღება დაიწყება 21 ივნისიდან და გაგრძელდება 15 აგვისტომდე, ხოლო გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონია გაიმართება ნოემბერში.

აპლიკაციები მიიღება ონლაინ, შემდეგ მისამართზე: www.Businessaward.ge

# ნიკა გვარამია: „ეს არის რუსთავი 2-ის შტურმით აღების მცდელობა"

**გუშინ, 22 ივნისს, რუსთავი 2-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ სააპელაციო სასამართლოს მიერ ტელეკომპანიისთვის გამოგზავნილ გადაწყვეტილებაზე ისაუბრა.**

— ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა სახელმწიფომ ჩვენ წინააღმდეგ, რითიც საბოლოოდ დაადასტურა, რომ ის, რაც სასამართლოს კედლებში მიმდინარეობს, არის სრული ფიქცია და სინამდვილეში არის რუსთავი 2-ის შტურმით აღების მცდელობა, — განაცხადა ნიკა გვარამიამ.

მისი თქმით, 22 ივნისს სასამართლომ გამოგზავნა გადაწყვეტილება, რომელიც დაიწერა 12 დღეში და რომელიც 76 გვერდს მოიცავს,

— ქალბატონო გუჯაბიძე, მოგიწევთ მანტიის გახდა, ეს გადაწყვეტილება ჩვენ არ ჩაგვიბარებია, ჩვენ, სასამართლოს მცდელობით, 18 დღე მოგვპარეს, ეს არის საკონსტიტუციო სასამართლოსთვის და ჩვენთვის მოპარული ვადა. ერთ-ერთ მხარეს ეს გადაწყვეტილება გადაეცა და აქედან გვაქვს ჩვენ ინფორმაცია. სასამართლომ მორიგ ჯერზე დაარღვია კანონი, გვაჩვენა, რომ დაინტერესებული მხარე ის არის და არა ჩვენ, ფოსტის მუშაკებიც ჩაებნენ, შტურმით სცადეს ჩვენი და ჩვენი ადვოკატების ოფისების აღება. ჩვენ არ ჩავიბარებთ დროზე ადრე ამ გადაწყვეტილებას, — თქვა ბ-მა გვარამიამ.

„თუ გსურთ ჩვენი დასისხლიანებული სახეების ხილვა, იხილავთ"



რატომ გამოგვეგზავნა ეს გადაწყვეტილება კანონის დარღვევით? იკითხა რუსთავი 2-ის ხელმძღვანელმა და მოუწოდა საქართველოს მთავარ პროკურატურას, დაიწყოს ამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება.

— მივმართავ საქართველოს პრეზიდენტს, ძვირფასო ბატონო გიორგი მარგველაშვილო, ჩვენ ამ ქვეყანაში დაკავებული ვართ კანონგარეშე, აღარ გაგვაჩნია არავითარი უფლებები, თქვენ კონსტიტუციით გევალებათ იყოთ თითოეული ჩვენგანის და ამ ტელევიზიის კონსტიტუციის გარანტირებული უფლებების დამცველი. ველით პასუხს პირველ რიგში თქვენგან, ვართ ამ ქვეყნის მოქალაქეები თუ არ ვართ? საითკენ მიდის ეს ქვეყანა? ასრულებთ თქვენს საპრეზიდენტო ვალდებულებებს?

ზუსტად იგივე კითხვები გვაქვს ბატონ უსუფაშვილთან, თუ თქვენი პოლიტიკური კარიერა, სინდისი და ღირსება არ გაქვთ გაცვლილი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეობაზე, მოვითხოვ ამ კითხვებზე პასუხების გაცემას. ვინ დაიცავს ამ უფლებებს და სადამდე აპირებს ბიძინა ივანიშვილი, რომელიც 18 დღეს გვპარავს, სადამდე აპირებს წასვლას?

აპირებენ თუ არა ჩვენს ქუჩებში ლიკვიდირებას და შემდეგ პროკურატურაში ბრიფინგის გამართვას და იმის თქმას, რომ ჩვენ ვალების გამო თავი მოვიკალით?

არაფერი, ფიზიკური ლიკვიდაციის გარდა აღარ დაგრჩენიათ, სასამართლოს განაჩენის შემდეგ. ქალბატონები ნაზღაიძე, გუჯაბიძე და ყაველაშვილი არიან სისხლის სამართლის დამნაშავეები, გაუსწორდით სისხლის სამართლის დამნაშავეებს ისე, როგორც კანონი გავალდებულებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა მისცემს მათ პასუხისგებაში და ნუ აიღებთ ამ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე. ჩვენ გვაინტერესებს საკონსტიტუციო სასამართლოს პასუხიც ჩვენს სარჩელებზეც, — განაცხადა ნიკა გვარამიამ.

მან აღნიშნა, რომ პირადად არის პასუხისმგებელი არა მხოლოდ მისი უსაფრთხოების, არამედ მისი ყველა თანამშრომლის უსაფრთხოების საკითხზე.

— ჩვენ შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ამ ქვეყანაში ჩვენი სიცოცხლე არ არის დაცული და ის არის ყოველდღიური რისკის ქვეშ. ჩვენ არ ვაპირებთ ამ შენობიდან გასვლას იმ გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც არ ემყარება კონსტიტუციას, თუ გნებავთ ჩვენი დასისხლიანებული სახეების ყურება, ამას ნახავთ, ამას მთელი საზოგადოება ნახავს, — განაცხადა ნიკა გვარამიამ.

მისი თქმით, ხელისუფლებას მოუწევს არჩევნების ჩატარება რუსთავი 2-თან ერთად და, როგორც ჩანს, ამ არჩევნების წაგება.

— მე მოგიწოდებთ დაგვიტოვოთ ჩვენი უფლებების დაცვის კანონისმიერი მექანიზმები, რომლებიც აღარ გაგვაჩნია, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივმართავთ საერთაშორისო აქტებით აღიარებულ ყველა საშუალებას, — განაცხადა ნიკა გვარამიამ.

# მანუჩარ მაჩაიძე გოგი თოფაძესთან მიდის

**შორენა მარსაგიშვილი**

პატრიოტთა ალიანსისგან გამიჯნული მანუჩარ მაჩაიძე საპარლამენტო არჩევნებში აპირებს მონაწილეობის მიღებას. დეპუტატის მანდატის მოსაპოვებლად მას ბრძოლა ეულად არ მოუწევს. გავრცელებული ინფორმაციით, მასთან მოლაპარაკებებს მრეწველები და თამაზ მეჭიაურის პარტია აწარმოებენ.

როგორც ამბობენ, მასთან კომუნიკაცია კონსერვატორებსა და ნინო ბურჯანაძის პარტიასაც ჰქონდათ.

ნინო ბურჯანაძის პარტიაში ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ. რაც შეეხება კონსერვატორებს, ისინი ამ ამბავს არც უარყოფენ და არც ადასტურებენ.

მას შემდეგ, რაც კოალიცია „ქართული ოცნება" დაიშალა, კონსერვატორები შავ დღეში აღმოჩნდნენ. პარტიის ლიდერებმა რამდენჯერმე აღნიშნეს, რომ მათ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობა გაუჭირდებათ. მათ საამისოდ არც თანხები აქვთ და არც საკმარისი რაოდენობის ხალხი ჰყავთ.

ამ მხრივ მათთვის მაჩაიძე ნამდვილი მისწრებაა. მას არც ავტორიტეტი აკლია და ფინანსურადაც არ უჭირს. თავის დროზე ის ალიანსის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დამფინანსებელი იყო. ბოლო მონაცემებით, მან აწ უკვე ყოფილ პარტიას 60.000 ლარი შესწირა.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ კონსერვატორებმა პარტია „ქართულ ოცნებასთან" მოლაპარაკება გამართეს და შეთანხმებასაც მიაღწიეს. გადაწყდა, რომ მაჟორიტარებს შეთანხმებულად წარადგენენ და ერთმანეთს ხელს არ შეუშლიან.

მეჭიაურთან მოლაპარაკებებს მაჩაიძე არ ადასტურებს. თუმცა ამბობს, რომ მასთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს.

— აღარ დავუბრუნდები იმ მიზეზების განმარტებას, თუ რატომაც დავტოვე „პატრიოტთა ალიანსი", აღარ მინდა წარსულზე საუბარი, რაც შეეხება მეჭიაურის პარტიას, გეტყვით, რომ 1995-99 წლებში, მასთან ერთად, საქართველოს პარლამენტის წევრი ვიყავი. კარგი ურთიერთობები მაქვს, მაგრამ მასთან ამ თემაზე არანაირი საუბარი არ მქონია, — განაცხადა მაჩაიძემ.

**გაგრძელება მე-7 გვერდზე**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# აფხაზეთში ახალი პასპორტები რეფერენდუმის შემდეგ გაიცემა

## გალის მოსახლეობას რეფერენდუმშიც არ მიაღებინებენ მონაწილეობას

მარიამ მჭედლიშვილი

**აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის გადაწყვეტილებით, აფხაზეთის ახალი პასპორტების გაცემა მხოლოდ რეფერენდუმის შემდეგ განახლდება.**

რეფერენდუმი ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების თემაზე 10 ივლისსაა დანიშნული.

ახალი პასპორტების დარიგება მარტიდან უნდა დაწყებულიყო. ძველ დოკუმენტებს, აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, არასაკმარისი დამცავი საშუალებები აქვს. ამიტომ გადაწყდა მათი შეცვლა.

აფხაზურ პასპორტებს რუსული გოზნაკი ბეჭდავს. თავდაპირველად პასპორტის ღირებულება 380 რუბლი უნდა ყოფილიყო, მაგრამ შემდეგ ფასი 450 რუბლამდე გაიზარდა. 3 ივნისისთვის ახალი პასპორტი სულ 23-მა კაცმა აიღო. დე ფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ მაშინ პასპორტიზაციის დაჩქარების აუცილებლობაზე ისაუბრა.

ახლა ირკვევა, რომ პასპორტების გაცემა რეფერენდუმის შემდეგ აღდგება. აფხაზეთის შსს ამის მიზეზად საპასპორტო განყოფილებებში ჭყლეტის თავიდან არიდებას ასახელებს.

ამავე უწყების განმარტებით, პასპორტიზაციის პროცესი ჭიანურდება იმის გამო, რომ პასპორტის გაცემამდე უნდა დადგინდეს, ვინაა აფხაზეთის მოქალაქე და ვინ არა. საპასპორტო განყოფილებები მზად არიან, ვადა გაუგრძელონ ძველი პასპორტების მფლობელებს, ვისაც ეს ესაჭიროება.

როგორც ჩანს, ივლისის რეფერენდუმში მონაწილეობას არ მიაღებინებენ გალის რაიონის ქართველობას. ამ ადამიანებს დოკუმენტების მოუწესრიგებლობის საბაბით აუკრძალეს ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაც. ეს არჩევნები 2014 წლის 24 აგვისტოს ჩატარდა.

აფხაზეთის უშიშროების საბჭოს მდივანი მუხამედ კილბა ბოლო დროს იმყოფებოდა გალის რაიონში. ამის შესახებ მან რაულ ხაჯიმბასაც მოახსენა. მისი თქმით, გალში უმრავლესობას აფხაზეთის მოქალაქეობა არ აქვს.

– რთულია იმის თქმა, რა ბედს აირჩევენ იქაურები. ვიღაცა ადაპტაციას განიცდის და მიიღებს აფხაზეთის მოქალაქეობას, – აღნიშნა უშიშროების საბჭოს მდივანმა.

კილბამ ასევე განაცხადა, რომ უსაბუთობის გამო ადამიანებს პრობლემები არ უნდა შეექმნათ. მათ თავისუფლად უნდა გადაკვეთონ საზღვარი და ისარგებლონ სოციალური შეღავათებით.

მისივე თქმით, პასპორტიზაციის პროცესში არ უნდა შეიქმნას ბლანკების ან თანამშრომლების დეფიციტი.



აფხაზეთის მოსახლეობის ნაწილი სერიოზულადაა დაინტერესებული სხვაგვარი საბუთებით, ანუ ევროპაში თავისუფლად გადაადგილებით. აფხაზეთის ლეგიტიმურ სტრუქტურებში აცხადებენ, რომ აფხაზების უმრავლესობა უკმაყოფილოა იმით, რომ საზღვარგარეთ ვერ მიდის. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ გაამარტივებს ბიომეტრიული მოწმობების გაცემას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისთვის. ამ დოკუმენტების მფლობელები ისევე ისარგებლებენ ევროპის ქვეყნებში მოკლევადიანი უვიზო მიმოსვლით, როგორც ქვეყნის სხვა მოქალაქეები ვიზალიბერალიზაციის მიღების შემდეგ.

ამ ეტაპზე აფხაზეთისთვის ერთ-ერთი მთავარი თემა რეფერენდუმია, რომელიც ხაჯიმბასადმი ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკოსებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიცირებულია.

ხაჯიმბას ოპონენტებმა შეაგროვეს ხელმოწერები, რის შემდეგაც მიიღეს ცესკოს თანხმობა რეფერენდუმზე. ამას თავად ხაჯიმბას განკარგულება მოჰყვა. ბოლო დროს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით, რეფერენდუმზე დამკვირვებლებსაც დაუშვებენ. ოპოზიცია რეფერენდუმის მოსამზადებელ საზოგადოებრივ შტაბებს ქმნის.

ცესკოს გადაწყვეტილებით, აფხაზური სახელმწიფო ტელევიზიით კვირაში 2 საათი რეფერენდუმის აგიტაციას დაეთმობა.

# მანუჩარ მაჩაიძე გოგი თოფაძესთან მიდის

დასაწყისი მე-6 გვერდზე

რომელ ძალასთან ითანამშრომლებს, ეს საბოლოოდ გადაწყვეტილი არა აქვს, მაგრამ იცის, რომ კენჭს საბურთალოს მაჟორიტარად იყრის.

მისი სიმპათიები, როგორც ჩანს, უფრო მრეწველების მხარეს არის გადახრილი. პრესკონფერენციაზე მან მრეწველთა ლიდერი დაიცვა, რომელსაც სხვა რაღაცებთან ერთად იმასაც საყვედურობენ, რომ სტალინის ფანია.

თავად მაჩაიძეს სტალინი დიდად არ მოსწონს, მაგრამ მიიჩნევს, რომ სტალინის სიყვარულის გამო, პოლიტიკოსი არ უნდა გაილანძღოს.

– ვერავინ ჩამთვლის სტალინისტად, არ მიმაჩნია ის იდიაფიქსად და ისეთ პიროვნებად, რომლის სურათიც უნდა მეკიდოს, მაგრამ თავის დროზე მან კარგი საქმეები გააკეთა. უდიდესი პოლიტიკოსი იყო მსოფლიოში და ეს აღიარებულია. არ ვარ მისი თაყვანისმცემელი, მაგრამ არ შეიძლება პოლიტიკოსს მინუსად ჩაუთვალო, თუ ის სტალინს, როგორც პიროვნებას, პატივს სცემს, როგორც ქართველს, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა მსოფლიოს განვითარებაში, რომელმაც დაამარცხა ფაშიზმი. ბევრი დადებითი ჰქონდა, თუმცა ძალიან ბევრი უარყოფითიც და ესეც უნდა გავითვალისწინოთ, – განაცხადა მაჩაიძემ.



მანუჩარ მაჩაიძემ პატრიოტთა ალიანსი წინა კვირას დატოვა. იქიდან წამოსვლის მიზეზად მან ალიანსელების და ნიკა რამიშვილის მეგობრობა დაასახელა. რომელიც თავის მხრივ დიანა ჯოჯუას ქმარი და მაჩაიძის აზრით, ნაციონალების კაცია.

ალიანსელები მაჩაიძის დემარშს საარჩევნო სიის ფორმირებას უკავშირებენ. მათი მტკიცებით, მაჩაიძე იმიტომ განაწყენდა, რომ ის სიის ხუთეულში არ ჩასვეს. ალიანსში ამტკიცებენ, რომ სიის ფორმირება არ დაუწყიათ. არადა ამ საარჩევნო ბლოკმა უკვე წამოაყენა მაჟორიტარები.

........

საით წავა მაჩაიძე, ამას ახლო მომავალში ვნახავთ. გამორიცხული არაა, პარტიის ნაცვლად ის საარჩევნო ბლოკში აღმოჩნდეს. გავრცელებული ინფორმაციით, ის პარტიები, რომლებსაც მისი სახელი დაუკავშირდა, დიდი ალიანსის შექმნას აპირებენ.

კულუარული ინფორმაციით, დემოკრატიული მოძრაობა, მეჭიაურის პარტია და მრეწველები გაერთიანებას აპირებენ. ამ ინფორმაციას არც ერთი მხარე არ ადასტურებს. ამასთან ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამ ეტაპზე ასეა. რა იქნება ხვალ, ეს არ იციან.

როგორც ამბობენ, მათი გაერთიანებაზე დაფიქრება ასპარეზზე ლადო ბედუკაძის და თემურ ხაჩიშვილის პარტიის გამოჩენამ გამოიწვია. ეს პარტია მკვეთრად პრორუსულია და სხვა პრორუსულებს ამომრჩევლის დაკარგვის შეეშინდათ.

თავდაპირველად მეჭიაურის პარტიის გვერდით ლევან მამალაძეც მოიაზრებოდა. ქვემო ქართლში პრეზიდენტის ყოფილმა რწმუნებულმა პარტია რამდენიმე თვის წინ შექმნა. მამალაძეს, მოგეხსენებათ, ფინანსები არ უჭირს და მეჭიაურის პარტიის დამფინანსებლად ისიც მოიაზრებოდა.

ამ მიმართულებით მეჭიაურს ლევან ვასაძის იმედიც ჰქონდა. როგორც ამბობენ, ეს საკითხი დღემდე არ მოხსნილა დღის წესრიგიდან.

# ჰოლივუდის პროდიუსერები საქართველოში ჩამოვიდნენ

საქართველოს, კინოგადაღებების კუთხით ქვეყნის პოტენციალის შესასწავლად, ჰოლივუდის ლოკაციის მენეჯერები და პროდიუსერები სტუმრობენ.

საქართველოთი დიდი დაინტერესება მოჰყვა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოსა და ქართველი საპროდიუსერო კომპანიების წარმომადგენლების მონაწილეობას აშშ-ში, ლოს-ანჯელესში გამართულ მსოფლიო დონის ლოკაციების შოუზე, სადაც ახალი კინოწარმოების წახალისების პროგრამის პრეზენტაცია გაიმართა.

ჰოლივუდელი კინო მწარმოებლების წარმომადგენლები, რომლებმაც იმუშავეს ფილმებზე ტრანსფორმერები, კაპიტანი ამერიკა და სხვა ცნობილი ფილმები, კინოინდუსტრიის ხელშეწყობის პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ ფარგლებში 26 ივნისის ჩათვლით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს დაათვალიერებენ. ერთი კვირის განმავლობაში თბილისს, რუსთავს, კახეთს, მცხეთას, ყაზბეგს, უფლისციხეს, წყალტუბოს, ზუგდიდსა და მესტიას, ანაკლიასა და ბათუმს მოინახულებენ. სწორედ მათ რეკომენდაციაზეა დამოკიდებული ქვეყანაში ახალი ფილმების გადამღები ჯგუფების შემოსვლა.

ვიზიტის ფარგლებში ქართველ კინომწარმოებლებსა და სხვადასხვა ქართული საპროდიუსერო კომპანიების წარმომადგენლებს საშუალება აქვთ, უცხოელ კოლეგებს შეხვდნენ და მათი გამოცდილება გაიზიარონ, გააცნონ მათ ქართული კინოს შესაძლებლობები და არსებული ინფრასტრუქტურა, რაც საქართველოს, როგორც აღმოსავლეთ ევროპის გადასაღებ ცენტრად ქცევის ყველანაირ შესაძლებლობას იძლევა.




პროგრამისადმი „გადაიღე საქართველოში“ ინტერესი საკმაოდ მაღალია. მეწარმეობის განვითარების სააგენტოში, რომელიც აღნიშნულ პროგრამას ახორციელებს, უკვე შემოსულია 3 განაცხადი, რომლის შედეგადაც საქართველოში ჯამურად 5.700.000 ლარამდე თანხა დაიხარჯება.

პროგრამის ფარგლებში უკვე მიმდინარეობს ინდური ფილმისა და ქართულ-გერმანული პროექტების გადაღებები, დაგეგმილია ამერიკული პროექტის განხორციელება. ამასთანავე, სხვადასხვა საერთაშორისო პროდიუსერთან მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკებები დამატებით რამდენიმე ფილმის გადაღებებზეც.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# გამოცხადდეს საქართველოში რუსთაველის დღე!



2016 წელი შოთა რუსთაველის საიუბილეო წელია. „ვეფხისტყაოსანის“ ავტორის 850 წლის იუბილე გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს და იუნესკოს ყურადღებაც მიიპყრო. 2016 იუნესკომ რუსთაველის წლად გამოაცხადა.

რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე, მწერალი და პოეტი დავით შემოქმედელი ინიციატივით გამოდის და საქართველოს მოსახლეობას რუსთაველის დღის დაწესების ინიციატივით მიმართავს.

**დავით შემოქმედელი:**

– რუსთაველის დღე – ,,ვეფხისტყაოსნის“ საჯარო კითხვის დღე!

საჯარო კითხვის ტრადიცია საქართველოში არ არსებობს. უცხოეთში ეს საკმაოდ მიღებული გამოცდილებაა.

გერმანიაში გოეთეს დღეების დროს გოეთეს კითხვა, ინგლისში შექსპირის, შოტლანდიაში ბერნსის, რუსეთში პუშკინის და ასე შემდეგ. ამ ტრადიციით ისინი თავიანთ უპირველეს გენიოსებს აცოცხლებენ და პოპულარიზაციას უწევენ.

მოდით, დავნერგოთ ტრადიცია და გაზაფხულობით ყოველი წლის 20 აპრილი გამოცხადდეს რუსთაველის დღედ ,,ვეფხისტყაოსნის“ საჯარო კითხვის დღედ!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# ვიქტორია ნულანდი კიევსა და მოსკოვს ეწვევა



აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ვიქტორია ნულანდი კიევს, შემდეგ კი მოსკოვს ეწვევა. ნულანდის მიზანია მინსკის შეთანხმებების შესრულების ხელშეწყობა.

– ჩვენ მხარს ვუჭერთ ნორმანდიული ოთხეულის ძალისხმევას დონბასში მშვიდობის აღდგენასთან დაკავშირებით და განუხრელად ვმუშაობთ საიმისოდ, რათა მინსკის სამშვიდობო პროცესი ბოლომდე მივიდეს, – თქვა ნულანდმა.

ჟურნალისტებთან საუბარში ნულანდმა არ დამალა, რომ პირადად ობამასგან საგანგებო დავალება მიიღო. მისი არსი მინსკის პროცესის გადარჩენაშია. ამავე დროს მან თქვა, რომ მსოფლიო თანამეგობრობა დონბასის არჩევნებს არ ცნობს, თუკი ისინი მინსკის სამშვიდობო პროცესის დასრულებამდე ჩატარდა.

– მინსკის პროცესის დასრულება დონბასიდან რუსული არმიის გაყვანასა და საზღვარზე უკრაინელთა კონტროლის აღდგენას ნიშნავს, – ამბობს ნულანდი.

ზოგიერთი ექსპერტი ამტკიცებს, რომ ნულანდი კიევზე ზეწოლას შეეცდება.

– ობამას სჭირდება, რომ თანამდებობიდან თავაწეული წავიდეს. შესაბამისად დონბასში ჩიხური მდგომარეობა მისთვის მიუღებელია, – თვლის რუსი პოლიტოლოგი მარკოვი.

ექსპერტის აზრით, ნულანდი აქცენტს უკრაინაში კორუფციასა და რეფორმების ნელ ტემპზე გააკეთებს, შემდეგ კი კიევს ფინანსური დახმარების შეწყვეტით დაემუქრება.

– ან კომპრომისი დონბასში, ან ფინანსური დახმარების შეჩერება. საკითხი ასე დადგება, – ამბობს მარკოვი.

# შოტლანდიელი ნაციონალისტები ბრიტანეთის ევროკავშირში დარჩენას მოითხოვენ



ინგლისის პრემიერმა დევიდ ქემერონმა განაცხადა, რომ გულდასმით ემზადება რეფერენდუმისთვის, რომელმაც ბრიტანეთის ევროკავშირში ყოფნა-არყოფნის საკითხი უნდა გადაწყვიტოს.

ქემერონმა მოსახლეობას მოუწოდა, რეფერენდუმზე ბრიტანეთის ევროკავშირში დარჩენას მხარი დაუჭირონ.

უემბლი არენის საკონცერტო დარბაზში შედგა დებატები თემაზე, დარჩეს თუ არა ბრიტანეთი ევროკავშირში. ლონდონის ყოფილმა მერმა ჯონსონმა ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლა მოითხოვა. შოტლანდიის ნაციონალისტური პარტიის წარმომადგენელი დევიდსონი ამას შეეწინააღმდეგა.

– როგორც კი ბრიტანეთი ევროკავშირიდან გავა, შოტლანდია ბრიტანეთს დატოვებს, – თქვა დევიდსონმა.

# ფინელებს ნატოში შესვლა სურთ



ფინეთის პრეზიდენტმა საული ნიინისტემ განაცხადა, რომ რუსეთი მისი ქვეყნის დამოუკიდებლობას ემუქრება. ფინეთის საზღვრებთან რუსეთის მრავალრიცხოვანი სამხედრო კონტინგენტია განთავსებული.

– როგორც ჩანს, ნეიტრალიტეტი ჩვენთვის არა მარტო წამგებიანი, არამედ საშიშიცაა! თუკი ასე გაგრძელდა, ფინეთი სერიოზულად განიხილავს ჩრდილო ატლანტიკურ ბლოკთან შეერთების შესაძლებლობას, – თქვა ნიინისტემ.

# ამერიკის დაზვერვა: „რუსეთს რევოლუცია მოელის“



ამერიკის სადაზვერვო სამსახურის პროგნოზით, რუსეთში ხანგრძლივი კრიზისული პერიოდი იწყება. მოსალოდნელია ეკონომიკის ვარდნა, საშუალო ხელფასის შემცირება, უმუშევრობის ზრდა. ტოტალური კორუფცია სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს. შესაბამისად, მცირე ინციდენტი შესაძლოა გრანდიოზული საპროტესტო გამოსვლების ბიძგი გახდეს.

– შესაძლოა, ეს იყოს არჩევნების ფალსიფიკაცია, ან რაიმე სხვა ფაქტი. მოსახლეობაში უდიდესი აგრესიაა დაგროვილი, რაც, ადრე თუ გვიან, აუცილებლად ამოხეთქავს, – თვლიან ამერიკელი მზვერავები.

ისინი ხაზს უსვამენ იმას, რომ რევოლუცია მომავლის პერსპექტივაა. კრიზისი, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის შემოდგომაზე უფრო საგრძნობი გახდება, თუმცა მასშტაბური საპროტესტო გამოსვლები ალბათ 2017 წლიდან დაიწყება

# გერმანიაში ჩეჩენი ლტოლვილების რაოდენობა იზრდება



გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ქვეყანაში ჩეჩენი ლტოლვილების რაოდენობა იზრდება. მხოლოდ უკანასკნელი 2 თვის განმავლობაში გერმანიაში არალეგალურად 4.000 ჩეჩენი გადავიდა.

– ეს ფაქტი სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს, – აცხადებს გერმანიის შს მინისტრი დე მიზიერი.

გერმანიის კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის (კონტრდაზვერვა) სამსახური გამოთქვამს შეშფოთებას, რომ ჩეჩენთა შორის შესაძლოა ისლამისტი ექსტრემისტებიც იყვნენ. გერმანელი კონტრმზვერავების აზრით, ლტოლვილების ნაკადის გაძლიერების უკან რუსული სპეცსამსახურები დგანან.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ჰიტლერის შარვალი აუქციონზე გაიყიდა



ადოლფ ჰიტლერის ტყავის ჯიბეებიანი შარვალი და კიტელი, ასევე ლატუნის კონტეინერი, რომელშიც გერმან გერინგი ციანიდს ინახავდა, მიუნხენში გამართულ აუქციონზე გაიყიდა.

ამ ნივთების ძირითადი მყიდველი არგენტინის ანონიმი მოქალაქეა, რომელმაც სულ 600 ათასი ევრო დახარჯა. მან სხვა ნივთების გარდა 62 ათას ევროდ შეიძინა ჰიტლერის შარვალი, მის ნაცრისფერ კიტელში 275 ათასი ევრო გადაიხადა. გერინგის საათი – 42 ათასი ევრო, ხოლო მისი აბრეშუმის თეთრეული – 3 ათასი ევრო დაუჯდა.

კონტეინერი, რომელშიც ციანიდი ინახებოდა და, რომლითაც გერინგმა 1946 წელს ნიურნბერგის სასამართლოს წინ თავი მოიკლა, 26 ათას ევროდ გაიყიდა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# მეგობრებმა 100 წლის იუბილე ერთად იზეიმეს

ბავშვობიდან ვაშინგტონელმა მეგობრებმა საკუთარი 100 წლის იუბილე ერთად იზეიმეს. ქალბატონებმა საერთო თარიღი ადგილობრივ ბაპტისტურ ეკლესიაში აღნიშნეს.

გლედის ბატლერი, ბერნის ანდერვუდი და რუთ ჰემეთი 1916 წლის ზაფხულში დაიბადნენ და ვაშინგტონში ერთად იზრდებოდნენ. სამწუხაროდ მათი მეოთხე მეგობარი ლეონა ბარნესი ასი წლის შესრულებამდე ორი თვით ადრე გარდაიცვალა. ისინი ერთად შრომობდნენ და მეურნეობაში ერთმანეთს ეხმარებოდნენ.

მეგობრების საერთო ზეიმს ესწრებოდნენ მათი ნათესავები, შვილები, მრავალრიცხოვანი შვილიშვილები და შვილთაშვილები. ეკლესიის მრევლი მღეროდა და ცეკვავდა, პენსიონერებს ყვავილებს და საჩუქრებს ჩუქნიდა. ასევე აღსანიშნავია, რომ იუბილარებმა იმ ადგილზე, სადაც ყოველთვის იჯდა მათი მეოთხე მეგობარი ბარნესი, მისი პორტრეტი მოათავსეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

### მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: ალმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

# ესპანეთი იტალიას გაეკიდა, თურქებმა ჩრდილოეთ ირლანდია პლეი ოფში გაიყვანეს

### ც ჯგუფი

**ჩრ.ირლანდია-გერმანია 0:1**

**პარიზი.** პარკ დე პრენსი
0:1 გომესი (30)

**ჩრ.ირლანდია:** მაკგოვერნი, ჰიუზი, მაკოლი, კატკარტი, ჯ.ევანსი, დევისი, კ.ევანსი (მაკგინი 84), დალასი, უორდი (მაგენისი 70), ნორვუდი, ვაშინგტონი (ლაფერტი 59)

**გერმანია:** ნოიერი, ჰუმელსი, ბოატენგი (ჰიოვედესი 76), ჰექტორი, კიმიხი, მიულერი, ხედირა (შვაინშტაიგერი 69), კროოსი, გიოტცე (შიურლე 55), ოზილი, გომესი

ბრავო ჩრდილოეთ ირლანდია – შეუძლიათ იამაყონ. მსოფლიოს ჩემპიონებთან მინიმალური ანგარიშით წააგეს და როგორც შემდგომ გაირკვა, პლეი ოფში გავიდნენ. მარტინ ონილის გუნდი თურქებს და ალბანელებს ბურთების შეფარდებით სჯობნიან და დარჩენილ მატჩებს მათთვის არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს.

არადა, გერმანიას აშკარად უნდოდა მეტის გატანა, მაგრამ ვერ შეძლო, მაგრამ საბოლოოდ მინიმალური გამარჯვება მათთვისაც მისაღები აღმოჩნდა და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს.

გერმანელებმა ანგარიში ნახევარი საათის თავზე გახსნეს, თუმცა მანამდე მარტო მიულერს შეეძლო ჰეტტრიკის გაფორმება. მომენტების სიუხვე გერმანელებს არც შემდეგ დაუკლიათ, მაგრამ მათი ყველა მცდელობა ამაოდ გამოდგა – მეკარე, ძელი, ხარიხა...

***მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – მაიკლ მაკ გოვერნი***

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილოეთ ირლანდია პლეი ოფში მეკარემ გაიყვანა. გერმანელებს ჯერ კიდევ შესვენებამდე შეეძლოთ მოეწყოთ არგენტინა-იამაიკის (5:0) რიმეიქი. მაკ გოვერნიმ ათამდე სეივი შეასრულა მატჩის დროს. მართალია, ორჯერ კარის ჩარჩო დაეხმარა, მაგრამ ხანდახან იღბალიც იმისკენ არის, ვინც იმსახურებს.

***მაიკლ ონილი:***

– გულშემატკივრები მხარს საუცხოოდ გვიჭერდნენ. იმედია, სახლში არ წავალთ და ისინი ამ უქმეებზე კიდევ იმღერებენ. მსოფლიო ჩემპიონებთან თამაში იოლი არასოდესაა. რთული იყო, მაგრამ ღირსეულად ვთამაშობდით და თავს საუცხოოდ ვიცავდით. ჩემს წესებში არ შედის, რომ მატჩზე ისეთი გუნდი გავიყვანო, რომელიც 0:7 წააგებს. ჩვენ აქ ყოფნა და მერვედფინალში თამაში დავიმსახურეთ.

***იოახიმ ლიოვი:***

– მარიო გომესმა გამარჯვების გოლი გაიტანა და ეს ნიშნავს, რომ არჩევანში არ შევმცდარვართ. თომას მიულერს რომ გოლები არ გააქვს, არ მაღელვებს. იმ შემთხვევაში ვინერვიულებდი, მას მომენტები საერთოდ რომ არ ჰქონდეს, მაგრამ მიულერს სამჯერ ან ოთხჯერ გატანა შეეძლო. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ყველაფერი ნორმალურად გვაქვს. ის განვლილ მატჩში გოლთან ახლოს იყო და კარგი მომენტები ჰქონდა. დარწმუნებული ვარ, რომ მომდევნო შეხვედრაში აუცილებლად გაიტანს.

**უკრაინა-პოლონეთი 0:1**

**მარსელი.** სტად ველოდრომი
0:1 ბლაშჩიკოვსკი (54)

**უკრაინა:** პიატოვი, ფედეცკი, ბუტკო, ხაჩერიდი, კუჩერი, იარმოლენკო, სტეპანენკო, კონოპლიანკა, როტანი, ზინჩენკო (კოვალენკო 73), ზოზულია (ტიმოშჩუკი 90)

**პოლონეთი:** ფაბიანსკი, იედრჟეიჩიკი, პაზდანი, გლიკი, ჩიონეკი, კრიხოვიაკი, ზიელინსკი (ბლაშჩიკოვსკი 46), მილიკი (სტარჟინსკი 90), იოდლოვიეცი, კაპუსტკა (გროსიცკი 71), ლევანდოვსკი

უკრაინელებმა სამი მატჩიდან ერთი ჩააგდეს და ტურნირი უქულოდ დაასრულეს. არადა, გერმანიასთან და პოლონეთთან ისე ითამაშეს, ასეთ კრახს ნამდვილად არ იმსახურებდნენ – ნული ქულა, ნული გატანილი გოლი. მაგრამ ფეხბურთი ასეთია – ვერ გამოიყენებ შანსს და დაისჯები. სწორედ გადამწყვეტ მომენტებში არ იცოდნენ, რა უნდა ექეთებინა უკრაინის ნაკრებს.

პოლონელებმა კი კარგად გამოიყენეს უკრაინელთა სუსტი წერტილები და მოიგეს. მართალია, მინიმალური ანგარიშით, მაგრამ ეს საკმარისია.

მომავალში პოლონეთმა უკვე იცის რა უნდა აკეთოს. საამისოდ ჰყავს შემსრულებლები და რამდენად შეძლებენ ამის გაკეთებას, პლეი ოფში გამოჩნდება. იქ კი მეტოქედ შვეიცარიის ნაკრები ჰყავს.

***მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – იაკუბ ბლაჩიკოვსკი***

კუბა მოედანზე ჯოკერი იყო – შემოვიდა შეცვლაზე და გაიტანა ის გოლი, რომელიც საჭირო და მნიშვნელოვანი იყო. გარდა ამისა, ეტყობოდა, რომ სათამაშო კლასი აქვს და მისი სათადარიგოთა სკამზე დატოვება, უფრო გასულ სეზონში მიღებული ტრავმის ბრალი იყო, რომელმაც დიდი დრო გააცდენინა.

***მიხაილ ფომენკო:***

– გამოცდილება, რომელიც ამ დონეზე მივიღეთ, ბიჭებსაც გამოადგებათ და სამწვრთნელო შტაბსაც. საუკუნე იცხოვრე, საუკუნე ისწავლე. სამუშაოს როდესაც დადებითი შედეგი არ მოაქვს, უნდა შეეშვა და გადაწყვეტილება შემდეგ მიიღო.



***ადამ ნავალკა:***

– სამმა ქულამ ძალიან გაგვახარა. საბოლოო ჯამში 7 ქულა დავაგროვეთ. ჯერ არც ერთი გოლი გაგვიშვია და წინსვლას ვაგრძელებთ.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.გერმანია | 3 | 2 | 1 | 0 | 3-0 | 7 |
| 2.პოლონეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 2-0 | 7 |
| 3.ჩრ.ირლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 2-2 | 3 |
| 4.უკრაინა | 3 | 0 | 0 | 3 | 0-5 | 0 |

### დ ჯგუფი

**ხორვატია-ესპანეთი 2:1**

**ბორდო.** სტად დე ბორდო
0:1 მორატა (7), 1:1 კალინიჩი (45), 2:1 პერიშიჩი (87)

71-ე წუთზე რამოსმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

**ხორვატია:** სუბაშიჩი, სრნა, ჩორლუკა, იედვაი, ვრშალკო, როგი (კოვაჩიჩი 82), რაკიტიჩი, პიაცა (კოპი 90), ბადელი, პერიშიჩი (კრამარიჩი 90) კალინიჩი

**ესპანეთი:** დე ხეა, ხუანფრანი, პიკე, რამოსი, ალბა, ბუსკეტსი, ფაბრეგასი (ალკანტარა 84), ინიესტა, ნოლიტო (ბრუნო 60), სილვა, მორატა (ადურიცი 67)

ხორვატებმა დანაპირები შეასრულეს და ფავორიტს ბრძოლა გამოუცხადეს. თავიდან ხორვატებმა ბევრი მოინდომეს და ესპანელებს ბურთის კონტროლზეც კი ბრძოლა გამოუცხადეს, მაგრამ ამ კომპონენტში ესპანელებთან ჭიდილი შეუძლებელია და ვისენტე დელ ბოსკეს შეგირდებმაც სწრაფი გოლი გაიტანეს.

ხორვატები უმალ გადაეწყვნენ კონტრშეტევებზე. ამის უფლებას სწრაფი ფლანგელები აძლევდნენ. ამასთან, ძალიან აკურატულად მოქმედებდნენ პასის დროს. ზედ შესვენების წინ ამ ყველაფერმა ნაყოფი გამოიღო და ანგარიშიც გაათანაბრეს.

მე-2 ტაიმში დიდი ხანი ბრძოლა მომენტების გარეშე მიდიოდა და ისე ჩანდა, რომ ორივე გუნდი ფრეზე ყაბულს იყო. ამ დროს ესპანეთს გაუმართლა და იღბალმა (მსაჯთან ერთად) პენალტი უბოძა, მაგრამ სერხიო რამოსმა ეს შანსი ვერ გამოიყენა.

ესპანეთი ისევ ფრეზე ათამაშდა და ამ დროს გაეპარათ ხორვატთა სწრაფი კონტრშეტევა – პერიშიცმა გაიტანა, თავისიანებს იოლი ბადე შეახვედრა, ხოლო ესპანეთი რთულ მხარეს გადაისროლა. გარკვეულია, რომ ესპანეთი მერვედფინალში იტალიას დაუპირისპირდება, ხორვატია კი მეტოქეს ელის.

***მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ივან პერიშიჩი***

ძალიან კონცენტრირებული იყო ხორვატთა ნახევარმცველი. ეხმარებოდა დაცვას და როგორც კი შანსი მიეცემოდა, შეტევაზე გადადიოდა. გასაკვირიც არ არის, რომ გამარჯვების გოლი გაიტანა – სწრაფი ხორვატის გაჩერება ესპანელებს ძალიან უჭირდათ.

***ანტე ჩაჩიჩი:***

– ჩვენთვის მნიშვნელოვანი შედეგია. ევროპის ჩემპიონები დავამარცხეთ, ძლიერი გუნდი და საქმე ცალკეულ მატჩში არაა. უბრალოდ, ჩვენ თვითონ ძლიერები ვართ.

***ვისენტე დელ ბოსკე:***

– ბიჭები ჩუმად ისხდნენ. მათ წაგება არ უყვართ. ჩვენ თამაშის მსვლელობას ვაკონტროლებდით. თავის მართლებას არ დავიწყებ, მაგრამ კარგად ვთამაშობდით და კონცენტრაცია მხოლოდ ბოლოს დავკარგეთ. ფეხბურთელებთან პრეტენზია არ მაქვს. იტალიასთან მომავალი მატჩის გაანალიზების დრო გვაქვს. ეს ის გზა არაა, რომლითაც წასვლა გვსურდა, მაგრამ სიტუაციის გამოსწორების შანსი გვაქვს.

**ჩეხეთი-თურქეთი 0:2**

**ლანსი.** ფელიქს ბოლარი
0:1 ბურაქ ილმაზი (10), 0:2 ტუფანი (66)

**ჩეხეთი:** ჩეხი, კადერაბეკი, ჰუბნიკი, სივოკი, პუდილი. დარიდა, კრეიჩი, პლაშილი (კოლარი 89), პაველკა (შკოდა 57), დოჩკალი (შურალი 71), ნეციდი

**თურქეთი:** ბაბაჯანი, გიოქჰანი, ბალთა, ტოპალი, კოუბასი, სელჩუკ ინანი, არდა თურანი, ვოლქან შენი (ოზიაქუფი 61), ტუფანი, მორი (საჰანი 70), ბურაქ ილმაზი (თოსუნი 90)

ორი სასტარტო მატჩის მშრალად წაგების შემდეგ, თურქეთის ნაკრები ბევრმა დაასამარა. თუმცა, ფათიხ თერიმის შეგირდებმა ბრჭყალები ჩეხებთან გამოაჩინეს, დამაჯერებლად მოიგეს და პლეი ოფში გასვლის შანსი დაიტოვეს.

არადა, შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ჩეხებს უფრო მაღალი ჰქონდათ და გამარჯვების შემთხვევაში ინაღდებდნენ კიდეც. თურქებმა ეს შანსები დასაწყისშივე დაწიეს დაბლა, როდესაც ბურაქ ილმაზმა სწრაფი გოლის გატანა მოახერხა.

გატანილი გოლის შემდეგ თურქები მეორე ნომრად ათამაშდნენ და ინიციატივა მეტოქეს დაუთმეს. ერთი მხრივ, ეს შეცდომა იყო, რადგან ჩეხებს შანსი ჰქონდათ გაეტანათ, მაგრამ პაველ ვრბას შეგირდებს ბოლო ფაზაში უჭირდათ.

ჩეხთა შეტევები მე-2 ტაიმში უფრო აკადემიური გახდა, მაგრამ სწორხაზოვანი, ყოველგვარი კრეატივის გარეშე. გამოჩნდა, რომ გუნდს აკლდა ტომაშ როსიცკი, რომელსაც შეუძლია შეტევაში მრავალფეროვნება.

სამაგიეროდ, თურქთა კონტრშეტევები ჩანდა მწვავე და ერთ-ერთი მათგანი გოლითაც დასრულდა. ამ გოლმა საერთოდ მოშალა ჩეხები. საბოლოოდ, თურქებმა იმარჯვეს და ახლა სხვა გუნდებზე არიან დამოკიდებულნი.

***მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ემრე მორი***

თურქეთში 18 წლის ფეხბურთელს ლიონელ მესის ადარებენ. მართალია, ეს შედარება ცოტა გადამეტებულია, მაგრამ ჩეხებთან მართლაც მშვენივრად ითამაშა. ტექნიკური თავდამსხმელი მუდმივ ხიფათში ამყოფებდა ჩეხთა მცველებს, ირჯებოდა არასტანდარტულად, გააკეთა საგოლე პასიც.

***პაველ ვრბა:***

– თურქებს ძალიან კარგად ვიცნობთ, რადგან საკვალიფიკაციო ეტაპზე შევხვდით. სტუმრად გავიმარჯვეთ და სახლში დავმარცხდით. სამწუხაროდ, ახლა კვლავ წავაგეთ.

***ფათიჰ თერიმი:***

– ჯერ კიდევ გუშინ „დაკარგულები" ვიყავით, მაგრამ მომავალს უკვე ოპტიმიზმით ვუყურებთ. თუ შემდეგ ეტაპზე გავალთ, დიდი ალბათობით უელსს შევხვდებით. ჩვენი მთავარი მიზანი ჯგუფიდან გასვლაა. იმედია, ამას შევძლებთ.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ხორვატია | 3 | 2 | 1 | 0 | 5-3 | 7 |
| 2.ესპანეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-2 | 6 |
| 3.თურქეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 4.ჩეხეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |

## საქართველო ბრაზილიაში მოკრივეების გარეშე ჩავა



ქართველ მოკრივეებს აზერბაიჯანის დედაქალაქში რიოს ოლიმპიადის საგზურების მოპოვება შეეძლოთ, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა და ბრაზილიაში სპორტის ამ სახეობაში წარმომადგენელი არ გვეყოლება.

არადა, ორი წრის შემდეგ ოთხი ჩვენებური განაგრძობდა საგზურებისთვის ბრძოლას და შანსიც იყო, რომ რამდენიმე ლიცენზია აგვეღო. საქმე იმაშია, რომ რიოში გამგზავრების უფლებას მოიპოვებდნენ ნახევარფინალში გასულნი და მცირე შანსი იმ მოკრივეებსაც ჰქონდათ, ვინც მეოთხედფინალში ტურნირის გამარჯვებულთან დამარცხდებოდნენ.

60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ევროპის ორგზის ვერცხლისმედალოსანი ოთარ ერანოსიანი მერვედფინალში ყატარელ ჰაკან ერსეკერს შეხვდა და მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებით გამარჯვება მეტოქეს ხვდა წილად.

კიდევ ერთი ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი ზაალ კვაჭატაძე (75 კგ) ვერაფერს გახდა ინდოელ კრიშან ვიკასთან.

64 კილოში ლაშა გურულმა აშკარად წააგო დიდ ბრიტანელ პეტ მაკოლმაკთან, ხოლო იაგო კიზირიამ (81 კგ) დიდი ბრძოლა გაუმართა მასპინძელთა ევროპის ტიტულოვან მოკრივეს, ტეიმურ მამადოვს. ერთმა მსაჯმა უპირატესობა ჩვენიანს მიანიჭა, ხოლო ორმა – აზერბაიჯანელს და ჩვენი შანსებიც აქ მოისპო.

## მესი არგენტინელთა საუკეთესო მეგოლეა



ლიონელ მესი არგენტინის ეროვნული ნაკრების ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირი გახდა. 29 წლის თავდამსხმელმა გაბრიელ ომარ ბატისტუტას რეკორდი კოპა ამერიკის ნახევარფინალში აშშ-ს კარში გატანილი გოლით მოხსნა.

მესიმ რეკორდი მეოთხედფინალში გაიმეორა, ხოლო პირველივე მატჩში გააუმჯობესა. კოპა ამერიკის ნახევარფინალში, არგენტინა მასპინძელ ამერიკას დაუპირისპირდა. ალბისელესტემ მეტოქე 4:0 გაანადგურა. მესიმ, რომელმაც სრულად ითამაშა, ჯერ ლავესის გაატანინა, შემდეგ ჯარიმიდან თავად გაიტანა, ბოლოს კი საგოლე გადაცემა იგუაინსაც გაუკეთა.

ახლა მესის ოცნება სწორედ კოპა ამერიკის მოგებაა, რომლის შანსიც გააჩნია. კოპა ამერიკის ფინალი 27 ივნისს გაიმართება. არგენტინელები ჩილესა და კოლუმბიას შორის უფრო ძლიერ გუნდს დაუპირისპირდებიან.

## შედეგები

**21 ივნისი**
**ფეხბურთი**
**ევროპის ჩემპიონატი**
ჩრ.ირლანდია-გერმანია 0:1
უკრაინა-პოლონეთი 0:1
ხორვატია-ესპანეთი 2:1
ჩეხეთი-თურქეთი 0:2
**კოპა ამერიკა**
აშშ-არგენტინა 0:4

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## ტაივანის ზოოსალონში უცნაურ ვარცხნილობებს აკეთებენ



ტაივანში ზოოსალონის მფლობელმა საკუთარ დაწესებულებას სახელი შინაური ცხოველებისთვის ექსტრავაგანტული ვარცხნილობების გაკეთებით გაუთქვა.

სტუდიის პატრონი ოუ შიხ-ჯოუ თავისი ოსტატობის წყალობით, მაგალითად, კატებს სტეგოზავრებს ამსგავსებს, ძაღლებს – ლომებს და ასევე მათ ბეწვებზე მთელ რიგ კომპოზიციებს ქმნის (სახეს, წარწერებს, ორნამენტებს).

სალონში მომუშავე ოსტატმა ლი მეი ჩენმა ერთ-ერთი ცხოველის ზურგზე ფუმფულა დათუნია გამოსახა, ხოლო მეორე ბრენდ ჰელოუ კიტის ემბლემით დაამშვენა.

## შვეიცარიის პოლიცია გაქცეულ ძროხებს ეძებს



შვეიცარიის კომუნა პონტრეზინაში ადგილობრივი პოლიცია რამდენიმე დღის მანძილზე უშედეგოდ ეძებდა ფერმერისგან გაქცეულ ძროხებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ერთ-ერთი ადგილობრივი ფერმიდან ორი ძროხა გაიქცა. პოლიციის ინფორმაციით, ერთ-ერთი გაქცეულის დაჭერა მოხერხდა, თუმცა მეორეს ძებნა ჯერ კიდევ გრძელდება. აღსანიშნავია, რომ შინაური პირუტყვი კანტონა გრაუბიუნდენის სოფლისკენ გაემართა. დასახლებული პუნქტის ერთ-ერთი მცხოვრებლის თქმით, ძროხა ცდილობდა რქებით შეემტვრია ადგილობრივი სასტუმროს კარი.

ცხოველს ადგილობრივი მცხოვრებლების ქონებისთვის ზიანი არ მიუყენებია, ასევე მისი ქმედების შედეგად არავინ დაზიანებულა. ამჟამად პოლიცია და ფერმერები ეძებენ ძროხას, რომელიც ბერნინის ოლქისკენ მიმავალი შენიშნეს.

## ჰოლივუდის მსახიობები ძაღლის ხორცის ფესტივალის წინააღმდეგ გამოვიდნენ




ცნობილი პირები გამოვიდნენ ძაღლის ხორცის ფესტივალის წინააღმდეგ, რომელიც ჩინეთის პროვინცია გუანსის ქალაქ იულინში იმართება. მათი ვიდეომიმართვა იუთუბიზეა გამოქვეყნებული.

მსახიობები მეთ დეიმონი, ჰოაკინ ფენიქსი, კეიტ და რუნი მარები და სხვები მოუწოდებენ, შეჩერდეს ძალადობა ძაღლებთან მიმართებაში.

– საუბარი იმაზე კი არ არის, თუ ვინ ხარ, ამერიკელი, აზიელი, ინდოელი, კანადელი თუ ბრიტანელი, საუბარია ადამიანურობაზე, – ხაზგასმით აღნიშნავენ ჰოლივუდის ვარსკვლავები.

აზიის ზოგიერთ ქვეყანაში გავრცელებულია აზრი, რომ თუ ცხოველს ტანჯვას მიაყენებენ, ამით მისი ხორცი თითქოსდა უფრო გემრიელი ხდება ან ადამიანის ჯანმრთელობისთვის უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს.

– მიუხედავად იმისა, მიიჩნევთ თუ არა თქვენ მას საჭმელად, სისასტიკე, წამება და ძალადობა უდიდესი შეცდომაა, – განმარტა სპეციალური პროექტის დამფუძნებელმა მარკ ჩინმა.

აღსანიშნავია, რომ იულინში ფესტივალი ყოველ წელს იმართება და ის 21-დან 30 ივნისის ჩათვლით გრძელდება. ამ ღონისძიების დროს დაახლოებით 10 ათას ძაღლს კლავენ. მის ხორცს საკვებად იყენებენ, რათა ზაფხულის ბუნიობა აღნიშნონ.

## მეტისმეტად სულელ ავსტრიელ დედას შვილები ჩამოართვეს

სოციალურმა სამსახურმა თავისი ორი შვილი ჩამოართვა 34 წლის ავსტრიელ ეველინ მიულერს. ჩინოსნებს მიაჩნიათ, რომ ქალის მეტისმეტად დაბალი ინტელექტი მას ხელს შეუშლის თავისი ბიჭისა და გოგონას ნორმალურად აღზრდაში. ბავშვებისთვის ისეთი ოჯახის გამოძებნაა დაგეგმილი, რომლის წევრებსაც უფრო მაღალი ინტელექტი ექნებათ.



მიულერის ბავშვები, რომელთაგან უფროსი ორი წლისაა, ჩინოსნებმა ოჯახიდან წამოიყვანეს და თავშესაფარში მოათავსეს.

ქალის ინტელექტის დონე 64 ქულით ფასდება. ასეთი, ან კიდევ უფრო დაბალი მაჩვენებელი ყოველი 122 ადამიანიდან ერთში გვხვდება. ავსტრიის ფედერალური მიწის ქვემო ავსტრიის შტატცენდორფის კომუნის სოფლის საგანგებო სამსახურის თანამშრომლები მიიჩნევენ, რომ ბავშვების აღზრდისთვის ასეთი ინტელექტუალური კოეფიციენტი საკმარისი არ არის.

მიულერმა დახმარებისთვის საქველმოქმედო ორგანიზაციას მიმართა, რომელმაც თავის მხრივ საქმეში ჩართო ქვეყნის ცნობილი ადვოკატი ნიკოლაუს რასტი.

ადვოკატი დაჟინებით ამტკიცებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს სრულად შეუძლია მშობლის მოვალეობის შესრულება. მისი ინტელექტი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მას მიეღო საშუალო განათლება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას საკუთარ შვილებზე ზრუნვა შეუძლია.

## ქალმა დივანის გაყიდვის განცხადებას საკუთარი შიშველი სელფი დაურთო




დიდი ბრიტანეთის მცხოვრებმა ქალმა ჯესიკა ო,ბრაიენმა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე შეცდომით საკუთარი შიშველი მკერდის ფოტოსურათი გამოაქვეყნა.

ქალმა, რომელიც კოსმეტოლოგად მუშაობს, გამოაქვეყნა ინფორმაცია საკუთარი დივანის გასაყიდად გამოტანის თაობაზე, რომელსაც თან დაურთო რბილი ავეჯის რამდენიმე რაკურსით გადაღებული ფოტოსურათი. თუმცა 25 წლის ჯესიკამ ვერ შენიშნა, თუ ამ დროს როგორ აღმოჩნდა სხვა ფოტოსურათებს შორის სელფი, რომელზეც მისი გაშიშვლებული მკერდი იყო აღბეჭდილი. გამოქვეყნებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ფეისბუქის ადმინისტრაციამ პოსტი ფოტოსურათებთან ერთად წაშალა, თუმცა სოციალური ქსელის მომხმარებლებმა განცხადებების სკრინშოტის გაკეთება მოასწრეს, ვიდრე მას წაშლიდნენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

*სპორტი*

## ნიკოლოზ ბასილაშვილი უიმბლდონზე ვერ ითამაშებს



ქართველმა ჩოგბურთელმა ნიკა ბასილაშვილმა უიმბლდონის საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ დაძლია და წელს მას უიმბლდონზე ვერ ვიხილავთ.

ბასილაშვილი ეგვიპტელ ჩოგბურთელ მოჰამედ საფვატთან დამარცხდა 3 სეტში 5:7, 6:3, 5:7.

ეს წაგება ბასილაშვილს ძვირად დაუჯდება, რადგან შარშან ის უიმბლდონის მესამე წრეში გავიდა, ამიტომ წელს მას ეს ქულები უნდა დაეცვა, რისი გაკეთებაც ნიკამ ვერ მოახერხა.

ამჟამად ბასილაშვილი მსოფლიო რეიტინგში 105-ე პოზიციას იკავებს, მაგრამ უიმბლდონის დასრულების შემდეგ საგრძნობლად უკან დაიწევს.

შეგახსენებთ, რომ შარშან ბასილაშვილმა უიმბლდონზე სახელოვანი ესპანელი ჩოგბურთელის ფელიციანო ლოპესის დამარცხება შეძლო.

## ნოლიტო მანჩესტერ სიტიში გადადის




სელტას წამყვანი მოთამაშე ნოლიტო მანჩესტერ სიტიში გადასვლასთან ახლოს არის. ეს ინფორმაცია ინგლისურ პრესაში გავრცელდა.

სიტის ახალ მწვრთნელ ხოსეპ გვარდიოლას ნოლიტო ძალიან ძლიერ ფეხბურთელად მიაჩნია, ამიტომ მანჩესტერელებმა მისი გადაბირება გადაწყვიტეს.

ნოლიტო ამჟამად ევროპის ჩემპიონატზეა და სატრანსფერო ამბებისთვის არ სცხელა, შესაბამისად, მას ამ თემაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

სელტა თავის ფეხბურთელში 20 მილიონ ევროს ითხოვს, სიტი კი მხოლოდ 15 მილიონს ჩამოდის.

გუნდებს შორის მოლაპარაკებები უახლოეს დღეებშიც გაგრძელდა.

## ჩელსის ლეონარდო ბონუჩის შეძენა სურს



ლონდონის ჩელსი ზაფხულში რამდენიმე ახალი ფეხბურთელით გაძლიერებას აპირებს. ერთ-ერთი მათგანი იუვენტუსის და იტალიის ნაკრების ცენტრალური მცველი ლეონარდო ბონუჩია, რომელიც ანტონიო კონტეს ერთ-ერთ საუკეთესო მცველად მიაჩნია მსოფლიოში.

ამჟამად ბონუჩი კონტესთან ერთად იმყოფება ევროპის ჩემპიონატზე და სავარაუდოდ ანტონიო ყველანაირად ცდილობს ის ჩელსიში გადმოსვლაზე დაიყოლიოს.

ბონუჩი ამჟამად 29 წლის არის და მცველისთვის ეს კარგ ასაკად ითვლება.

ჩელსი ამ ტრანსფერში 25 მილიონი ევროს გადახდას აპირებს, თუმცა იუვენტუსის პასუხი ჯერჯერობით უცნობია.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## ასტროპროგნოზი
### 23 ივნისისთვის



**ვერძი** – ფინანსური მდგომარეობა ერთობ არასტაბილურია. ერიდეთ საყიდლებზე წასვლას. განსაკუთრებით სახიფათოა ძვირფასი ნივთის ყიდვა. **კურო** – მიზანს იოლად აღწევთ. ენერგია მოგიზღვავდებათ. ნებისმიერ სიტუაციას თქვენ სასარგებლოდ იყენებთ. **ტყუპები** – დღეს მხოლოდ ის სამუშაო შეასრულეთ, რომელიც ხელგეწიფებათ. გარისკვა ახალ პრობლემებს წარმოშობს. **კირჩხიბი** – ერიდეთ ექსტრავაგანტურ ქმედებებს. ნუ ეცდებით, წარმატებას ერთბაშად მიაღწიოთ. ეს საკმაო ნერვიულობის ფასად დაგიჯდებათ. **ლომი** – შესაფერისი დღეა გარემოს შესაცვლელად. კარგი იქნება, თუ ქალაქგარეთ გაისეირნებთ. მოსალოდნელია მცირე კამათი ოჯახის წევრებთან ან ნათესავებთან. **ქალწული** – ნუ იქნებით სუბიექტური. მოვლენები საღად შეაფასეთ. გარშემომყოფებთან, განსაკუთრებით კი ნათესავებთან ურთიერთობისას ტაქტი გამოიჩინეთ. **სასწორი** – წინააღმდეგობრივი დღეა. გაღიზიანებული ხართ, რამაც შესაძლოა გარშემომყოფებთან კონფლიქტამდე მიგიყვანოთ. მეტი დიპლომატიურობა გმართებთ. **მორიელი** – იყავით ინიციატივიანი და ყველა საქმეს წარმატებით გაართმევთ თავს. საკუთარი პოზიცია არ დათმოთ. **მშვილდოსანი** – პლანეტების მფარველობას გრძნობთ. ახალი კავშირების დასამყარებლად კეთილისმყოფელი დღეა. **თხის რქა** – საინტერესო მოვლენებით აღსავსე დღეა. იზრდება თქვენი პირადი მომხიბვლელობა და შარმი. **მერწყული** – ნეგატიური დღეა. იმედი გიცრუვდებათ. ნურავის მიენდობით, თორემ მოტყუებული დარჩებით. **თევზები** – დღეს გაცნობილი ადამიანი თქვენს ცხოვრებაში, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი კუთხით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ამერიკული კოსმეტიკური ფირმა; 2. წაგრძელებული, სწორკუთხა უგუმბათო ტაძარი; 3. ფედერიკო ფელინის მხატვრული ფილმი; 4. კუთხე საქართველოში; 5. საკანონმდებლო ორგანო; 10. სვანური მამაკაცთა ცეკვა; 11. ყველაზე წვრილი ფული ბრიტანეთში; 12. კოქტეილის მოსამზადებელი ჭურჭელი; 13. გემის სამზარეულო; 16. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 17. კომედიური ჟანრის მუსიკალური თეატრალური წარმოდგენა; 19. მეტროს სადგური თბილისში; 21. პორტატული გეოდეზიური ხელსაწყო; 23. რახმანინოვის ოპერა.

**თარაზულად:** 6. ტბა საქართველოში; 7. ძუნწი, ძალზე ხელმომჭირნე ადამიანი; 8. მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში; 9. წყალში გახსნილი საღებავებით შექმნილი ნახატი; 14. გრიგოლ აბაშიძის რომანი; 15. ქართველი მწერალი; 18. პოლონეთის ფეხბურთელთა გუნდი; 20. მდგომარეობა კრივში; 22. ქართველ მწერალ ლეო შენგელიას ლიტერატურული ფსევდონიმი; 24. მაკედონიის დედაქალაქი; 25. ერთგვარი ნაყინი; 26. უნივერსიტეტი მადრიდში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. იედო; 2. არა; 3. ალარმისტი; 4. კიევო; 5. ცინცაძე; 8. კოკი; 9. დიურერი; 10. გენეტიკა; 12. წულაძე; 13. ნიორი; 15. ბროსე.

**თარაზულად**: 1. იდიოტია; 6. პლევრიტი; 7. დუკლა; 10. გერბი; 11. აკინი; 13. ნურიე; 14. რაბლე; 16. არგო; 17. იქთიოლი; 18. ფეტელი

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ვეჯვუდი; 2. საფიხვნო; 3. ალოტროპია; 4. დესპანი; 5. სემირამიდა; 10. ბორანი; 11. ფეხბურთი; 12. იმერეთი; 13. დიზაჟიო; 16. პარამეტრი; 17. ჯაყელები; 19. ალტიტუდა; 21. ცერნი; 23. პუნში.

**თარაზულად**: 6. თედიაშვილი; 7. მერჩულე; 8. კულუხი; 9. ერდოგანი; 14. დილიჟანი; 15. პრეამბულა; 12. კათხა; 20. თაკვერი; 22. კოპტები; 24. ბეშუმი; 25. სტრაბონი; 26. ტოშიბა.

# ლამარა ჭყონიას ოპერის თეატრში შესასვლელად კამბოჯელი ტურისტის საშვი დასჭირდა



გამოჩენილ ქართველ სოპრანოს ლამარა ჭყონიას განახლებულ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში მოსახვედრად კამბოჯელი ტურისტის საშვი დასჭირდა.

ინფორმაცია ლამარა ჭყონიას ძმისშვილმა, დათო ჭყონიამ გაავრცელა:

– ამბავი მამიდას, ლამარა ჭყონიას ეხება. ა.წ. მაისის შუა რიცხვებში მამიდას მეუღლემ, მორისმა უთხრა: ძალიან გაოცებული ვარ იმით, რომ შენ, რაც ოპერა გაიხსნა, რემონტის შემდეგ ერთხელაც არ მოგიგონეს და არ მიგიწვიეს რაიმე ღონისძიებაზე, ხომ ვიცი, რომ ძალიან გაინტერესებს თუ როგორი იერი მიიღო ოპერამ. მოდი, ახლავე წავიდეთ, შევიდეთ და ვნახოთო.

ლამარას ძალიან მოეწონა ეს აზრი და დილის 12 საათზე უკვე ოპერის თანამშრომელთა შესასვლელში იყვნენ. იქ დაცვის 4 თუ 5 თანამშრომელი დახვდათ მათ. კითხვაზე თუ ვისთან მიდიოდნენ ისინი, მორისმა უპასუხა: ეს ქალბატონი ლამარა ჭყონიაა, ამ თეატრში 25 წელი მუშაობდა და ძალიან სურს განახლებულ თეატრს შეხედოსო, თან დაუმატა, ქალბატონი ლამარა საბჭოთა კავშირის და საქართველოს სახალხო არტისტიაო.

ამაზე დაცვამ უპასუხა, რომ მათ თეატრის ხელმძღვანელობისგან ნაბრძანები აქვთ, რომ ვინც არ უნდა მოვიდეს აქ, თუ არ აქვთ წინასწარ დანიშნული დრო, არავინ არ შეუშვან. ლამარამ ჰკითხა, თეატრის ხელმძღვანელებიდან ნუთუ არავინ არ არისო?! უპასუხეს, არა, ჯერ არავინ არ მოსულაო. მორისმა ჰკითხა, ყოფილი თეატრის დირექტორი ზურაბ ლომიძე, რომელიც ახლა სადადგმო ნაწილის გამგეა, ისიც არ მოსულაო? უპასუხეს: ის იყო და საქმეზე წავიდაო.

მაშინ ლამარას და მორისს გადაუწყვეტიათ იქვე, სკამზე ჩამომსხდარიყვნენ, იმ იმედით, რომ ვინმე ნაცნობი გაივლიდა თეატრში. ასე მათ ნახევარ საათზე მეტი იცადეს, სანამ არ გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც ლამარა იცნო. ეს აღმოჩნდა ოპერის თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი მაკო ფაცურია. ამას მოჰყვა საშვის გაფორმება, თითქოს ლამარა და მორისი კამბოჯიდან ჩამოსული ტურისტები იყვნენ.

ქალბატონმა მაკომ დაათვალიერებინა თეატრის პირველი და მეორე სართული, ზევით ლამარა აღარ ავიდა. თქვა, რომ ის 85 წლისაა და ძალიან დაიღალა. თეატრიდან გამოსვლისას მორისს უთქვამს დაცვის თანამშრომლებისთვის, თეატრის დირექციას გადაეცით, იქნებ პატარა სია გააკეთონ, ვისაც დიდი ღვაწლი აქვს ამ თეატრის წინაშე და თქვენ დაგიტოვონ, რათა უპრობლემოდ შევიდნენ თეატრში.

როგორც ვიცით, დღემდე ასეთი სია არ არსებობს.

# არენა დი ვერონაზე კიდევ ერთი ქართველი იმღერებს



საოპერო სფეროში მოღვაწე მომღერლებისთვის ოცნებაა არენა დი ვერონაზე მოხვედრა და იქ სიმღერა. ქართველი მომღერლებიდან რამდენიმეს ეს ოცნება უკვე აუხდა და არენა დი ვერონაზე გამართულ საოპერო წარმოდგენებშიც მიიღო მონაწილეობა.

მათ რიცხვშია ახალგაზრდა ქართველი ტენორი მიხეილ შეშაბერიძეც. ეს სასიხარულო ინფორმაცია საუკეთესო სოლისტად აღიარებულმა ხელოვანმა თავად გაავრცელა:

– მინდა ყველას გაგიზიაროთ ჩემი დიდი სიხარული. არენა დი ვერონაზე მოხვედრა ნებისმიერი მომღერლისათვის უდიდესი წარმატება და ჩემი ახდენილი ოცნებაა. იქ მოხვედრა, თუნდაც მსმენელად, უკვე დიდი სიხარულია, რომ აღარაფერი ვთქვა იქ სიმღერაზე.

27 აგვისტოს არენა დი ვერონაზე შევასრულებ დონ ხოსეს პარტიას ოპერაში „კარმენი“.

# გივი ბერიკაშვილი დააჯილდოვეს



ქართული თეატრისა და კინოს მსახიობი გივი ბერიკაშვილი დააჯილდოვეს. ფესტივალმა „ქართული სული“ ველისციხეში დახურვის საზეიმო ცერემონიალზე ფართო საზოგადოებისთვის ცნობილ პიროვნებებს „ქართული სულის“ ოქროს მედალი და სიმბოლური გამოსახულებები გადასცა.

გივი ბერიკაშვილთან ერთად ფესტივალის მიერ დაჯილდოვდნენ ველისციხის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი იოანე მიტიჩაშვილი, ვასო გოძიაშვილის სახელობის ველისციხის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი, მსახიობი ომარ კაკაბაძე და მუსიკოსი და სცენარისტი ჯემალ ბაღაშვილი.

ფესტივლის „ქართული სულის“ ორგანიზატორებმა ბალეტის ლეგენდარული მოცეკვავის მარის ლიეპას შვილები რუსეთის ფედერაციის სახალხო არტისტი, პრიმა ბალერინა ილზე ლიეპა და ბალეტის სოლისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროდიუსერი და რეჟისორი ანდრის ლიეპა დააჯილდოვეს.

„ქართული სული“ ქუთაისში გაიხსნა, მოგვიანებით თბილისსა და მცხეთაში გადაინაცვლა და ველისციხეში ვასო გოძიაშვილის სახელობის თეატრში საზეიმო კონცერტით დასრულდა, რომელშიც მონაწილეობდნენ „ქუჩის მუსიკოსები“, „ქართული ხმები“ და გურჯაანისა და ველისციხის ანსამბლები.

# ნუკა კვალიაშვილი საავადმყოფოში მოხვდა



8 თვის ორსული ნუკა კვალიაშვილი საავადმყოფოში მოხვდა. მომღერალი გაგუას კლინიკაში ნაადრევი მშობიარობის ნიშნებით გადაიყვანეს.

ნუკას სტაციონარში ყველა გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება გაეწია. როგორც მომღერალმა განაცხადა, მას ნაადრევი მშობიარობა შეუჩერეს.

ნუკა ერთ თვეში მეორე ბიჭის დედა გახდება. მომღერალს და მის მეუღლეს ნიკუშა კობახიძეს 2 წლის ლუკა ჰყავთ. ეს ნუკას მესამე ორსულობაა. მომღერალი მეორე ორსულობის დროს ორ თვემდე მივიდა, მაგრამ მისი შენარჩუნება ვერ შეძლო და ნაყოფი დაკარგა.

ივლისის ბოლოს ნუკა ბიჭს გააჩენს, რომელსაც მშობლებმა სახელი უკვე შეურჩიეს და მას ალექსანდრეს დაარქმევენ.

# სოსო პავლიაშვილმა თბილისს ახალი სიმღერა მიუძღვნა



რუსეთში მოღვაწე ქართველმა მომღერალმა სოსო პავლიაშვილმა თბილისს წლების შემდეგ ახალი სიმღერა მიუძღვნა. „თბილისი“ – ასე ეწოდება სიმღერას, რომელიც რუსულენოვანია და მომღერლის მიერ საქართველოს დედაქალაქის მონატრებას ეძღვნება.

სოსო პავლიაშვილი წლებია რუსეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ის უკვე შეეჩვია, რომ საქართველოში სამშობლოს მოღალატეს ეძახიან. როგორც თვითონ ამბობს, თბილისი ისევ ძალიან ენატრება და სწორედ ამ მონატრებამ დააწერინა მომღერალს ახალი სიმღერა.

სიმღერაზე სოსომ ვიდეორგოლიც გადაიღო, რომლის პრემიერაც უახლოეს მომავალშია დაგეგმილი. კლიპის რეჟისორი გიორგი პავლიაშვილი, ისევე რეპერი მასტერია.

– ძალიან მალე გაიმართება ჩემი ახალი კლიპის „თბილისი“ პრემიერა. ის ჩემთვის ყველაზე საყვარელია. კლიპი დაუჯერებლად ლამაზი გამოვიდა. თუკი მოვლენებს ოდნავ წინ გავუსწრებ, გეტყვით, რომ ჩემი ვიდეორგოლის ნახვის შემდეგ, აუცილებლად გაგიჩნდებათ უდიდესი სურვილი თბილისში ჩასვლის, იმიტომ, რომ ის ყველაზე ლამაზი ქალაქია მთელს დედამიწაზე. იმედი მაქვს, ჩემი ახალი კლიპი მოგეწონებათ, რადგან მასში მთელი ჩემი შესაძლებლობები და სული ჩავდე, – აცხადებს სოსო პავლიაშვილი და ინტერნეტში კლიპის მცირე მონაკვეთს აქვეყნებს.

# გიორგი კეკელიძეს „ამაგდარის“ ჯილდო მიანიჭეს



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურ დირექტორს, გიორგი კეკელიძეს, 2016 წლის გამორჩეული ადამიანის სიგელი გადაეცა.

კუთვნილი ჯილდო გიორგი კეკელიძეს მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში საზოგადოება „ამაგდარმა“ გადასცა.

როგორც დაჯილდოების ცერემონიალზე ითქვა, საზოგადოება „ამაგდარი“ ამ ჯილდოს ხალხის გამოკითხვის შედეგად გასცემს. წელს გამოკითხულთა უმრავლესობამ ამ ჯილდოს ღირსად სწორედ გიორგი კეკელიძე მიიჩნია, რომელიც საქართველოს რეგიონებში, ქალაქებსა თუ სოფლებში წიგნებით და კომპიუტერებით ამარაგებს მოსახლეობას და სხვადასხვა ქალაქების დასასვენებელ პარკებში წიგნის ბუდეებს აწყობს.

# რობერტ სტურუა მამის ნახატებს ეძებს



რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რობერტ სტურუა მამის, მხატვარ რობერტ სტურუას ნახატებს ეძებს.

წელს უფროსი რობერტ სტურუას დაბადებიდან 100 წელი შესრულდა. ამ საიუბილეო თარიღის აღნიშვნა რეჟისორს სპეციალური გამოფენით სურს, რომლისთვისაც მამის ნამუშევრები ესაჭიროება. მაესტრო სოციალურ ქსელში მამის ფოტოს აქვეყნებს და სთხოვს ფეისბუქმეგობრებს, მამის ნამუშევრების აღმოჩენის შემთხვევაში, მათ ფოტო გადაუღონ და რეჟისორს გაუგზავნონ:

– ეს მამაჩემია, რობერტ სტურუა, მხატვარი!

წელს, 04.05.16. 100 წელი შეუსრულდა.

გამოფენა მინდა მივუძღვნათ მის ხსოვნას, რადგანაც მართლაც დიდებული მხატვარი გახლდათ.

მისი მოხატულია ჭიათურის თეატრი, აკაკის სახელობის კულტურის სახლი, სასახლე სოფელ შრომაში და ბრწყინვალე პლაფონი ტყიბულის თეატრში „ბოროტსა სძლია კეთილმან“, ქართული ხალხური ზღაპრები.

მაგრამ რა უნდა ქნა, იმ მოხატულ კედლებს ხომ ვერ ჩამოხსნი და ვერ ჩამოიტან თბილისში?!

ხოლო პორტრეტები, პეიზაჟები გულუხვმა მამაჩემმა გააჩუქა, არც კი ვიცით, სად ინახება. სახლში კი თითო-ოროლა ახლობლების პორტრეტები და ჩანახატები შეგვრჩა.

გამოფენაზე გვინდა იმ უზარმაზარი ფრესკების ფოტორეპროდუქციები გამოვაქვეყნოთ, ხოლო გამოფენა სამ თემას მინდა შეეხოს: „ეკლესიები, ქალები, სვანეთი...“

იქნებ დამეხმარები, ჩემო ფეისბუქელო მეგობარო და ულამაზესი ქართველი მხატვრის ნახატებს მომიძებნი. განსაკუთრებით სვანეთის პეიზაჟების ბედი მაღელვებს.

არ დაიზაროთ, გადაუღეთ რ.ი.სტურუას ნახატებს ფოტო და გამომიგზავნეთ.

# მარველ კომიქსის მხატვარი თბილისში გამოფენას მოაწყობს



თბილისში ამერიკელი მხატვრისა და ავტორის დეარდევილის, ელიესის: ჯესიკა ჯონსის და კაბუკის შემქმნელის დევიდ მაკის გამოფენა გაიხსნება.

ხელოვნების სასახლეში 23 ივნისს მისული საზოგადოება იხილავს დევიდ მაკის უნიკალურ ნამუშევრებს. დევიდი კაბუკის კომიქსის სერიების შემქმნელი და მწერალია. ის ასევე მარველის დეარდევილის მწერალი და მხატვარია. მან შექმნა პოლ მაკარტნის, ამანდა პალმერის, თომას ჯეინსის და ვინსენტ დონოფრიოს მუსიკალური ალბომების დიზაინი. იგი მუშაობს და ქმნის ანიმაციას ემტივისთვის და წერს რეჟისორ ჯონ ჰუსა და კომპანია ელექტრონული ხელოვნებისთვის ვიდეო თამაშების პერსონაჟების დიზაინს.

მისი შემოქმედების ნუსხაშია ინტერაქტიული, ანიმაციური პრომო „შეუძლებელი მისია ოთხისთვის“, ნახატები ექიმ არუნ გრანდის ესესთვის „არაძალადობის კულტურა“...

მსოფლიოში ცნობილი ხელოვანი გარდა კაბუკისა და დეარდევილის ნახატებისა ხელოვნების სასახლეში გამოფენს ფილმის „ფაით ქლაბ 2“-ის („მებრძოლთა კლუბი“ 2-ის) გარეკანებს, პირად ნამუშევრებსა და გამოჩენილი ადამიანების პორტრეტებს.

ამერიკელი მხატვრის გამოფენაზე დასწრება თავისუფალია.

მოამზადა
ეკა ირემაშვილმა

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 23 ივნისი**

**07.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **08.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ცოდვა და სირცხვილი**" **12.30** დ/ფ "ჯეიმის კერძები **30** წუთში" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "XX საუკუნე" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** "ევრო – **2016**" **16.45** "ეპოქის ფრაგმენტი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **18.00** "კომუნიკატორი" **19.30** მხ/ფ "**კაპიტანი ნიუმენი" მედიცინის დოქტორი**" (გ.პეკი) **21.30** ზაფხულის ღამის კონცერტი ვენაში **23.00** მხ/ფ "**ჩაი მუსოლინისთან**" **01.10** მხ/ფ "**მაღალი ქუსლები**" (პ.ალმადოვარი) **03.00** დ/ფ "ჯეიმის კერძები **30** წუთში"

**08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **11.00** დ/ფ "მტკნარი წყლის ჯუნგლები" **13.00** დ/ფ "ვენჯოუს ფირმის ფეხსაცმელი" **14.00** დ/ფ "ანატოლიის გარგარი" **16.00** დ/ფ "კაპურის მიერ დანახული სამყარო" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.00, 14.40** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.45** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბამბის ველი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** მხ/ფ "**ბრწყინვალე გონება**" **03.00** მხ/ფ "**ძიძა**" **04.40** მხ/ფ "**რა ხდებაჰ**"

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**ცხოვრების გზები**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" **23.00** პროფილი **00.00** P.S. **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 3.10** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00** სერ. "**ძვლები**" **15.00** შუადღე **17.30** ცოლები და ქმრები **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 22.30** გალფის გათამაშება **22.45** სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" **0.15** სერ. "**ჯოჯოხეთი ბორბლებზე**" **1.15** მხ/ფ

**06.15** სჯანი **06.40** პატერიკი **06.50** დეკორატიული ფლორა **07.05** ქართული ალბომი **07.50** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**ნინო**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "დუმფარა" **15.05** ივერიის ეკლესია **15.20** ქართული ან/ფ **16.50** კონცერტი **17.35** ჩვენი ფონდი **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.45** პორტრეტები **20.20** დ/ფ **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **22.20** ჩვენი საგანძური **22.40** დ/ფ **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **00.25** ისტორიის დღიური **01.25** "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ბერძენი ქალი**" **10.05** სერ. "**ტატიანა**" **11.05** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **13.00, 14.05, 1.00** სერ. "**გულს ვერ უბრ ანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ქალთა ექიმი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**სახიფათო ქალი**" **21.40** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.35** სერ. "**უცხო შინაურებს შორის**" **23.30** სერ. "**ჯუნა**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**23 ივნისისთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1805 |
| ევრო | 2.4694 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.1853 |
| 100 რუსული რუბლი | 3.4032 |

**ამინდის პროგნოზი 23 ივნისისთვის**





## 24 ივნისიდან

გიორგი ლეონიძე

**ნატვრის ხე**

მაგარი ყდა,
252 ილუსტრირებული
ფერადი გვერდი

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**





## ჩინელმა იოგებმა ასანები უფსკრულის თავზე შეასრულეს



პეკინში დაახლოებით 150 იოგის მოყვარულმა მასობრივი ვარჯიში გამართა მინის პლატფორმაზე, რომელიც 396 მეტრი სიღრმის კლდოვანი ხეობის თავზეა განთავსებული. ამ ადგილზე ასანების შესრულებით მათ იოგას საერთაშორისო დღე აღნიშნეს.

ჩინელი ენთუზიასტები ჯინგდონგ სთოუნ ფორესტ გორჯეს მოედანზე შეიკრიბნენ, რათა სინქრონულად შეესრულებინათ სხვადასხვა ასანები. რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს ვარჯიში, უცნობია.

აღნიშნული მოედანი 2016 წლის მაისში გაიხსნა. აღსანიშნავია, რომ ის მსოფლიოში ყველაზე დიდი გამჭვირვალე მოედანია.

## გერმანიაში დიდი ცხვირების კონკურსი ჩატარდა



გერმანიის ქალაქ ლანგენბრუკში ყველაზე დიდი ცხვირების კონკურსი ჩატარდა. ჩემპიონატში, რომელიც ყოველ ხუთ წელში ერთხელ იმართება, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული კონკურსანტები გამოდიოდნენ.

უკვე მეორედ კონკურსის გამარჯვებული გახდა ჰანს როისტი, მისი ცხვირის პარამეტრები უცნობია, თუმცა ღონისძიების წამყვანმა მამაკაცის ყნოსვის ორგანოს „ნამდვილი კარტოფილი“ უწოდა. აღსანიშნავია, რომ კონკურსის მონაწილეთა პრიზებად იქცა კარგი განწყობა და საზოგადოების ყურადღება.

ლანგენბრუკის ცხვირების კლუბი აღნიშნულ ჩემპიონატს 1961 წლიდან მართავს და მასში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეუძლია. პირველ ეტაპზე მსაჯები ცხვირებს ზომავენ, რათა ყველაზე პერსპექტიული კონკურსანტები გამოავლინონ. გაიმარჯვებს ის, ვისი ცხვირიც ყველაზე დიდი აღმოჩნდება, როდესაც მისი სიგრძის და სიგანის შეჯერება მოხდება.

## კორეელი ვიზაჟისტის ოპტიკური ილუზიები



სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულის მცხოვრებმა სოციალურ ქსელში პოპულარობა ოპტიკური ილუზიების წყალობით მოიპოვა, რომელსაც ის გრიმის წყალობით ქმნის. სოციალურ ქსელ ინსტაგრამში გოგონას აკაუნტს 20 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 22 წლის დეინ იუნი კორეის ხელოვნების ეროვნულ უნივერსიტეტში სწავლობს. აღსანიშნავია, რომ თავისი ნამუშევრების შექმნისას გოგონა გამოსახულებების რედაქტირებისას ფოტოშოპს არ იყენებს.

სურათების გარდა, კორეელი გოგონა სოციალურ ქსელში ასევე აქვეყნებს ვიდეორგოლებს, რომლებზეც ასახულია, თუ როგორ აკეთებს ან შლის მაკიაჟს. თავდაპირველად გოგონა მხოლოდ სახის ნაკვთებს გამოსახავდა, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მთელი სხეულის შეღებვას მიჰყო ხელი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## იუმორი

საკანში ახლად მოთავსებულ პატიმარს ერთ-ერთი პატიმარი ეკითხება:
– რისთვის ზიხარ?
– ერთი პატარა შეცდომის გულისთვის...
– რა შეცდომისთვის?
– ჩემი ასდოლარიანი ამერიკულზე ორი მილიმეტრით მოკლე აღმოჩნდა...

•••

ერთ სოფლელ კაცს ეკითხებიან:
– „ვიაგრას“ ტაბლეტებზე გაგიგია რამე?
– „ვიაგრა“ რაია ძამა, რისთვისაა?
– რისთვის და ქალთან ორჯერ, სამჯერ რო შეძლოს!
– რაია, დამაწყნარებელია თუ?..

•••

შუაღამისას ქმარი ცოლს აღვიძებს. ცოლი ეკითხება:
– რა გინდა?
– რა უნდა მინდოდეს, ამ შუაღამისას?.. ორი თავი ხახვი ხომ არ გექნება, ზეგამდე რომ მასესხო?

•••

კაცმა ახალი ფეხსაცმელი იყიდა, სახლში მივიდა, მაგრამ ვერავინ ამჩნევს. შევიდა სააბაზანოში, შხაპი მიიღო, შემდეგ სრულიად შიშველი გამოვიდა, მხოლოდ ფეხზე ახალი ფეხსაცმელი აცვია. ცოლი ეკითხება:
– ეგ რა გკიდია მანდ?
– ეს ახალ ფეხსაცმელზე მიმანიშნებელია.
– გერჩივნა ქუდი გეყიდა...

•••

თბილისელ სტუმარს მასპინძელი სუფრას გაუშლის. დაიწყებენ ქეიფს. პირველივე ჭიქა ღვინის დალევის შემდეგ მასპინძელი სტუმარს ეკითხება:
– ა, რაფერია? ხომაა კანფეტივით?
სტუმარი არაფერს ამბობს.
დალევენ მეორე ჭიქას. მასპინძელი ისევ ეკითხება:
– რაფერია? ხომაა კანფეტივით?
სტუმარი ისევ არაფერს ეუბნება. მესამედაც რომ იგივე განმეორდა, სტუმარი მასპინძელს ეუბნება:
– შობელძაღლი ვიყო, შენ თუ კანფეტი გასინჯული გქონდეს!

•••

ბავშვი მამას ეკითხება:
– მამა, ცხოვრება რაია?
– ცხოვრება, აგერ, საქათმეზე კიბე რომ გვაქვს, იმასავითაა!
– მოკლე და სკლინტში ჩაფლული?!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ისტორიული სამთავრო სამცხე-ჯავახეთში; 2. ლუი დე ბოფრონის მიერ შექმნილი ესპერანტოს მსგავსი ხელოვნური ენა; 3. პოლიტიკური პარტიის სამოქმედო პროგრამა; 4. გამაგრებული ციხე-სიმაგრე გერმანიის ქალაქებში ძველად; 5. წმინდა ოქრო; 8. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 9. მდინარე აფრიკაში, რომელზედაც მდებარეობს ჩანჩქერი ვიქტორია; 10. პირობა, რომელიც უზრუნველყოფს რაიმე წარმატებას; 12. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 13. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 15. ღვინის, ვაზის პატივსაცემი დღესასწაული ძველად საქართველოში.

**თარაზულად:** 1. ნეფერტიტის ქანდაკების ავტორი; 6. ანდერძში შეტანილი საგანგებო, განსაკუთრებული პირობა; 7. სილვესტერ სტალონეს ეკრანული როლი; 10. ფრანგი მოდელიორი; 11. ყველაზე მაღალი მწვერვალი საქართველოში; 13. უდაბნო აფრიკაში; 14. მაღალმთიანი სოფელი თუშეთში; 16. საჭმელი სოკო; 17. გაერთიანებული ორგანიზაციის ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 18. ბალნეოლოგიური კურორტი კახეთში.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**





## 23 ივნისიდან

**კაცი,** ვიქტორ ჰიუგო

**რომელიც იცინის**

პირველი ნაწილი

მაგარი ყდა, 358 გვერდი

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**







## 22 ივნისიდან

ზურაბ ბატიაშვილი (დარუჯანაშვილი)

**ტრაპიზონის იმპერიის დაარსება**

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**


## კრიშტიანო რონალდუმ ჟურნალისტს მიკროფონი ტბაში გადაუგდო



ოთხშაბათს ლიონში, სადაც პორტუგალიის ნაკრები იმყოფებოდა, ერთი საინტერესო ფაქტი მოხდა. კრიშტიანო რონალდუ თანაგუნდელებთან ერთად ტბასთან ახლოს სეირნობდა, როდესაც მასთან ჟურნალისტი მივიდა და შეკითხვა დაუსვა.

როგორც ჩანს, ამ შეკითხვამ რონალდუ გააღიზიანა და პორტუგალიელმა ჟურნალისტის მიკროფონი ტბაში მოისროლა.

აღმოჩნდა, რომ ჟურნალისტი იმ პორტუგალიური ტელევიზიიდან იყო, რომელთანაც კრიშტიანოს დაძაბული ურთიერთობა აქვს. შესაძლოა, სწორედ ეს არის მომხდარის მიზეზი.

## ალვარო მორატა რეალში დაბრუნდება



ტურინის იუვენტუსის ფორვარდი ალვარო მორატა მომავალ სეზონში თავის მშობლიურ გუნდში რეალში დაბრუნდება. ეს ინფორმაცია იუვენტუსის ოფიციალურ საიტზე გავრცელდა და მას იუვეს სპორტული დირექტორიც ადასტურებს.

ტურინელებმა მორატა 2014 წელს შეიძინეს რეალისგან, მაგრამ რეალმა მისი 30 მილიონად გამოსყიდვის უფლება დაიტოვა და სამეფო გუნდი სწორედ ამ უფლების გამოყენებას აპირებს.

მორატამ იუვენტუსში ორი კარგი სეზონი ჩაატარა და გუნდის ერთ-ერთი ლიდერიც გახდა. გარდა ამისა, ალვარო წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზეც შთამბეჭდავად გამოიყურება და მის ანგარიშზე სამ თამაშში უკვე სამი გატანილი გოლია.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**


ლურჯი წითელი ყვითელი შავი